ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 8 თებერვალი, 2017

№32 (7267)

ფასი: 50 თეთრი

**ალეკო ელისაშვილი: „მექრთამეების სასარგებლოდ ჯარიმის გადამხდელი და ბოდიშის მომხდელი არ ვარ“**



გვ.3

**8 თებერვლიდან**

**ქართლის ცხოვრება**

მე-3 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ აღიარა, რომ არაფრის კეთება არ შეუძლია“

## ვინ და რატომ ანგრევს სახელმწიფო ინსტიტუტებს



თუ ხელისუფლება ახდენს სასამართლო ინსტიტუტის დისკრედიტაციას, ეს დიდი უბედურებაა. და მეორე, თუ სხვა აკეთებს ამას და ხელისუფლება ვერ ახერხებს ფუნდამენტური ინსტიტუტების დაცვას, მაშინ ის, მინიმუმ, უვარგისია. ორივე შემთხვევაში ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება, თანაც მარტო ეს საქმე ხომ არ არის? ყველას რატომღაც დაავიწყდა, რომ არჩევნების წინ 2 საქმე აღძრეს სახელმწიფო გადატრიალების მუხლით. დღეს ვერავინ იტყვის, სად არის ეს საქმეები.

გვ.2

## ია ანთაძე: „საზოგადოებრივ მაუწყებელზე ხისტი გადაწყვეტილება თუ არ მივიღეთ, არხი ვერ განვითარდება“

გვ. 3



## ანზორ წოწონავა: „დევნილების შემწეობებთან დაკავშირებული ინიციატივა არის დივერსია ხელისუფლების წინააღმდეგ“



გვ.5

„იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ ერთიანი სტრატეგია არ არსებობს“



გვ.4

## სამაჩაბლოს ალანიას არქმევენ

ცხინვალი გადაწყვეტილებას 9 აპრილს მიიღებს



## რამაზ საყვარელიძე: „შეიძლება, შემთხვევითი ადამიანებით დაკომპლექტებული ე.წ. მესამე ძალა მივიღოთ“

გვ.4

## ენძელა მაჭავარიანი: „ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ემიგრანტები დაბრუნდებიან“



## პაატა შეშელიძე: „ლარიზაცია ლარს ვერ გაამყარებს“

გვ.6



ISSN 1987-9385



გვ.6

## „აზოტიდან გათავისუფლებული ადამიანები ბანკის კრედიტების მსხვერპლნი არიან“



გვ.5

## გმირთა მოედანზე აღმაშენებლის მემორიალი 36 კიბის საფეხურით

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

ნონა ცაბაძე

# ია ანთაძე: „საზოგადოებრივ მაუწყებელზე ხისტი გადაწყვეტილება თუ არ მივიღეთ, არხი ვერ განვითარდება“

**„ახალი თაობის“ კითხვებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მრჩეველი ია ანთაძე პასუხობს.**

***– ქალბატონო ია, ამბობენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების გეგმა, რომელიც ახალმა გუნდმა წარმოადგინა, ბევრ ადამიანში კითხვის ნიშანს ტოვებს. გადაცემები არ იხურება, მაგრამ ჩერდებაო. რამდენი ხნით ჩერდება და სად არის გარანტია, რომ ეს შეჩერებული გადაცემები ერთი ან ორი წლის შემდეგ კვლავ გავა ეთერში?***

– არც იმაზეა საუბარი, რომ ეს გადაცემები იხურება და არც იმაზე, რომ ჩერდება. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ წარმოვადგინეთ ჩვენი ხედვა, იმ შემთხვევაში, თუ ტელევიზიის გრძელვადიან განვითარებაზე ვისაუბრებთ, მაშინ აუცილებელია გარკვეული კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა.

***– რა შედის ამ კომპლექსურ ნაბიჯებში?***

– ამ კომპლექსური ნაბიჯებიდან ერთ-ერთი სწორედ არის ის, რომ ჩვენი წინადადება ბორდის მიმართ არის ასეთი – ყველა პლატფორმაზე ყველა გადაცემა შეჩერდეს. ამჯერად, ამ წუთას არაფერი იხურება და არაფერი ჩერდება, რადგან ბორდს, სამეურვეო საბჭოს აქვს განუსაზღვრელი ვადა იმისთვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, ჩამოყალიბდეს. მას აქვს წარდგენილი სტრუქტურის ახალი ვერსია, რომელიც პრინციპულად არ განსხვავდება ძველისგან, მაგრამ უფრო შეკუმშული ვარიანტია. ეს სტრუქტურა თვითონ განაპირობებს იმას, თუ რა მოხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში.

***– ანუ ეს ყველაფერი დამოკიდებულია სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებაზე, დაგთანხმდებათ თუ არა.***

– დიახ, ჯერჯერობით ამ ეტაპზეა საკითხი, რომ სამეურვეო საბჭომ უნდა მოიწვიოს საზოგადოების დაინტერესებული წარმომადგენლები, მიგვიწვიოს ჩვენც, გამართოს სამუშაო შეხვედრები. ჩვენი სურვილია, ეს წარიმართოს ღია რეჟიმში მედიის თანდასწრებით, კიდევ განვიხილოთ ყველა კითხვა, ყველა პასუხი და შემდეგ სამეურვეო საბჭო ჩამოყალიბდეს და მიიღოს გადაწყვეტილება, ცვლის სტრუქტურას თუ არა. თუ ბორდი შეცვლის სტრუქტურას, რასაც 6 ადამიანის ხმა სჭირდება. ეს ნიშნავს იმას,



რომ ამ ახალ სტრუქტურაშია ასახული ის ცვლილებები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

***– თუ არ შეცვლის?***

– თუ არ შეცვლის სტრუქტურას, მაშინ გამოვა, რომ, უბრალოდ, უარს ვამბობთ რეფორმაზე და ამას გარკვეული ნაბიჯები მოჰყვება. ჯერჯერობით დახურვაზე საუბარი ნაადრევია. ეს არის წინადადება ჩვენი მხრიდან და იმის მიხედვით, რას გადაწყვეტს სამეურვეო საბჭო, ძალიან მკაფიოდ გამოჩნდება, რა ნაბიჯები იქნება გადასადგმელი, ან გამოჩნდება, რომ საერთოდ არაფერი იცვლება. ასევე შესაძლებელია რაღაც ალტერნატიული ვარიანტი, როდესაც საბჭო მოძებნის გზებს, რომელიც იქნება უფრო რბილი, ვიდრე ჩვენ შევთავაზეთ. თუ საბოლოო მიზანს ეს რბილი ნაბიჯები არ დააზიანებს, ამაზე უარს არ ვიტყვით, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, სხვა ვარიანტს ვერ ვხედავთ იმისთვის, რომ 2019 წელს მივიღოთ ის შედეგები, რომლებიც ჩვენს პრეზენტაციაში იყო ჩამოთვლილი.

***– თუკი ბორდი დაეთანხმა ხელმძღვანელობის პოზიციას და 2019 წლამდე არხზე შეჩერდა ან თუნდაც დაიხურა ამდენი გადაცემა, წინ ორი არჩევნებია. ეს პერიოდი როგორ უნდა გაიაროს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა? რეგიონებში, მთიან რაიონებში არ არის დიდი არჩევანი და ძირითადად ამ არხს უყურებს მოსახლეობა. ეს პროცესი მაყურებელს არ დააზარალებს?***

– საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ პირველი, რასაც ვაკეთებთ, ვიწყებთ სწორედ რეგიონების გაძლიერებითა და იმ პასუხისმგებლობის აღებით, რომ მოდის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ჩვენ გვჭირდება ბევრად მეტი საშუალებები ამ არჩევნების გასაშუქებლად, ვიდრე გვაქვს დღეს. ეს არის ჩვენი პირველი ამოცანა. მეორე, თუ ჩვენ ამ რეფორმით გათვალისწინებულ ნაბიჯებს არ გადავდგამთ, შეიძლება, არათუ არჩევნები ვერ გავაშუქოთ წესიერად, შესაძლოა, საერთოდ ვერაფერი ვერ გავაშუქოთ.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ უკვე ტექნიკური წუნი მიდის ეთერში, უკვე მაყურებელი გრძნობს, რომ ძალიან ცოტა მანძილია დარჩენილი ტექნიკურ კოლაფსამდე. ნამდვილად არა ვართ დარწმუნებული, რომ ამ ტექნიკით, რაც დღეს გვაქვს, მივაღწევთ ადგილობრივ არჩევნებამდე!

***– ითქვა, რომ საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტი ჰქონდა საზოგადოებრივ მაუწყებელს. რატომ დაგხვდათ არხი ამ მდგომარეობაში?***

– ამას ბევრი მიზეზი აქვს. მოდით, დავიწყოთ იმით, რომ წლების განმავლობაში მაუწყებელი იგროვებდა ვალებს, მერე წლების განმავლობაში იხდიდა ამ ვალებს. როდესაც ვალების გადახდა დაიწყო, საზოგადოებრივ მაუწყებელს არ ჰქონდა სახსრები, რომ ტექნიკა შეეძინა ან რამე სახე მიეცა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერისთვის. როგორც კი დაიწყო ვალებისგან გათავისუფლება, ამ წუთას არხს არანაირი ვალი აღარ აქვს, ცადეს, შეექმნათ საზოგადოებრივი მაუწყებლის სახე, შეექმნათ რეიტინგი იმით, რომ დაიწყეს პირდაპირ გადაცემების ჩაშვება.

2016 წელი პირველი წელი იყო, როდესაც არხს ვალი არ ჰქონდა და მთელი თანხის 60% დაიხარჯა ხელფასებში. მაუწყებლის ხელმძღვანელობამ იპოვა ეს გამოსავალი, რომ რაც შეიძლება მეტი ახალი გადაცემა ჩაშვებულიყო ეთერში.

***– ამან არ გაამართლა?***

– ეს შენობა, სადაც ეს გადაცემები მზადდებოდა, ძალიან ხარჯიანია. ეს არის შენობა, სადაც 1.200 ადამიანი თბება ე.წ. ელექტროღუმელებით, სადაც ზამთარ-ზაფხულ 24 საათი ყველგან ანთია სინათლე, ყველა დერეფანში, შაბათისა და კვირის ჩათვლით, იმიტომ რომ ძალიან ბნელი დერეფნებია და უნდა განათდეს. ამიტომ ყველა პროდუქტი, რომლებიც აქ მზადდება, კიდევ დამატებით და სერიოზულ ხარჯებს ითხოვს. ჯამში, ეს ყველაფერი ძალიან ძვირია. მათ გამოსავალი ასე გამონახეს და ძალიან ბევრი გადაცემა ჩაუშვეს ეთერში, თუმცა ეს შეცდომა იყო. ეს იყო მოკლევადიანი ხედვა და არავის უფიქრია მაუწყებლის გრძელვადიან განვითარებაზე. გადაწყვეტილების მიმღებ პირებს არასოდეს უფიქრიათ იმაზე, რომ ახალი გადაცემები კი არ ჩაეშვათ, არამედ ინვესტიცია ჩაედოთ ისეთ სფეროში, რომელიც მოემსახურებოდა არხის გრძელვადიან განვითარებას.

***– იმის თქმა გინდათ, რომ არხზე მძიმე მდგომარეობაა?***

– ჩვენ დაგვხვდა ვითარება, როდესაც არც შენობა გვაქვს, არც ტექნიკა, არც რეგიონული ოფისები. არქივი, რომელიც უნდა იყოს კომპიუტერში, ყუთებშია ჩალაგებული და წლიდან წლამდე ფუჭდება. ჩვენამდე არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა ისეთი, რომელიც გრძელვადიან განვითარებას მოემსახურებოდა. დღეს ყველაფერზე ერთბაშად ზრუნვა გვიხდება. შენობა რომ იყოს ნორმალური, მაშინ ვიფიქრებდით, რომ შენობა მაინც გვაქვს და ვიზრუნოთ გადაიარაღებაზე. ტექნიკური გადაიარაღება რომ მაინც მომხდარიყო, მაშინ შენობაზე ვიზრუნებდით. ამ წუთას ისეთი ვითარებაა, რომ ყველა მიმართულებით იწვის სიტუაცია და ყველაფერში ახლა გვჭირდება თანხა იმისთვის, რომ მაუწყებელი განვითარდეს!

***– ამიტომ გადაწყდა, რომ გადაცემების დახურვისა თუ შეჩერების ხარჯზე გამოიძებნოს თანხები?***

– ეს თანხა არსაიდან არ მოვა, თუ ისევ შიგნით არ დავზოგეთ. ამიტომ ეს ერთადერთი გზა ვიპოვეთ ამ თანხის გამოთავისუფლებისა და გრძელვადიან ინვესტიციაში ჩადებისთვის. თუ საბჭო იპოვის სხვა გზას და შემოგვთავაზებს, კი ბატონო, თუ არადა, ამ გრძელვადიან განვითარებაზე უარს ვერ ვიტყვით!

***– ამბობენ, ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები საკმაოდ ხისტიაო.***

– ხისტია, იმიტომ რომ ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ჩვენს წინამორბედებს უნდა მიეღოთ და არ მიიღეს, ახლა გახდა ჩვენი მისაღები. პირადად ბატონი ვასილ მაღლაფერიძის პასუხისმგებლობა გახდა ეს ყველაფერი. აი, ამიტომ გამოვიდა გადაწყვეტილება ხისტი, თორემ აქ რომ ნაბიჯ-ნაბიჯ ჩადებულიყო თანხები გრძელვადიანი განვითარებისთვის, რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში არ აღმოვჩნდებოდით.

***– შენობაზეც სხვადასხვა მოსაზრება მოვისმინეთ, რომ აქაც არის კონკრეტული პირების ინტერესი, ალტერნატიულ ფართს გთავაზობენ და ასე შემდეგ. ამაზე რას იტყვით?***

– მეც მომისმენია, რომ საუბრობდნენ ამ ტელევიზიის სადღაც გადატანაზე, რადგან ეს შენობა ამორტიზებულია და არანაირ გაკეთილშობილებას არ ექვემდებარება. ჩვენ ერთ თვეში ვიპოვეთ გამოსავალი, არსად არ მივდივართ ამ შენობიდან, გვინდა, რომ გადავიდეთ გვერდით შენობაში, ე.წ. მესამე კორპუსში, რომელიც აღმოჩნდა აბსოლუტურად ჯანსაღი, რომელსაც აღმოაჩნდა საქართველოში უნიკალური სტუდია და რომელშიც დათვლილია, რომ სრულად ვეტევით. აი, იქ დავფუძნდებით და საერთოდ აღარ არის ლაპარაკი იმაზე, რომ სადმე მივდივართ და ამ ტერიტორიას ვტოვებთ. ამისთვის არანაირი არგუმენტი აღარ არსებობს!

# ფიქრია ჩიხრაძე: „საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონა არ ნიშნავს, რომ არავის შენიშვნა არ უნდა მიიღო“

– აბსოლუტურად გაუგებარია, როდესაც შენი სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო საზოგადოება, ქვეყნის პრეზიდენტი გელაპარაკება მოტივირებული შენიშვნებით და შენ ამბობ, რომ არ გესმის ამ შენიშვნების არსი და არ გინდა გაიგო არგუმენტები.

ასე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი პოლიტიკურ საკითხებში ფიქრია ჩიხრაძე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელმაც მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მიღებულ საკანონმდებლო პაკეტზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ გაიზიარა.

– ვერ ვიტყვი, რომ მოულოდნელი იყო. წინასწარ, ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოტივირებულ შენიშვნებს გაეცნობოდნენ, ჩვენ უკვე ვისმენდით საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან განცხადებებს, რომ ისინი არ აპირებდნენ ამ შენიშვნების გაზიარებას.

ეს ძალიან ცუდია. საკონსტიტუციო უმრავლესობის ქონა პარლამენტში არ ნიშნავს, რომ შენ არავისთან არ უნდა გაიარო კონსულტაცია, არავის შენიშვნა არ უნდა მიიღო და ისე უნდა მიიღო გადაწყვეტილებები, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

რაც შეეხება უმრავლესობის წევრების განცხადებას, რომ პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნისგან სათანადო არგუმენტაციები არ მოუსმენიათ, ფიქრია ჩიხრაძის შეფასებით, უმრავლესობა არ იყო მონდომებული არგუმენტების მისაღებად და მოსასმენად.

– მათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს არგუმენტაცია ეფუძნებოდა ვენეციის კომისიის ფუნდამენტურ პრინციპებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. მათი გათვალისწინება ძალიან წაადგებოდა სასამართლოს დამოუკიდებლობას.

სამწუხაროდ, ამ შენიშვნების გაუთვალისწინებლობით არა მხოლოდ პრეზიდენტს უთხრეს უარი, მათ უარი უთხრეს ვენეციის კომისიას, საერთაშორისო საზოგადოების ყველაზე ავტორიტეტულ წარმომადგენელს ამ სფეროში, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

მისთვის გაუგებარია, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო საზოგადოება, ქვეყნის პრეზიდენტი გელაპარაკება მოტივირებული შენიშვნებით და შენ ამბობ, რომ არ გესმის არსი ამ შენიშვნების და არ გინდა გაიგო არგუმენტები.

– ეს ძალიან აზიანებს სასამართლოს დამოუკიდებლობის, კონკრეტული მოსამართლეების მიუკერძოებლობის თემას. ალბათ, საკამათო და სადავო არ არის ის საკითხი, რომ დღეს საქართველოს სახელმწიფოს თუ რაიმე სჭირდება მისი სახელმწიფოებრივი პერსპექტივისთვის, მისი ევროპული მომავლისთვის, ეს არის სწორედ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.



პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის ფარგლებში მიღებულ საკანონმდებლო პაკეტზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ გაიზიარა.

საკომიტეტო განხილვაზე პრეზიდენტს მოტივირებულ შენიშვნებს მხარი მხოლოდ ორმა დეპუტატმა დაუჭირა. საკითხზე მომხსენებელი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ანა დოლიძე იყო.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შორენა მარსაგიშვილი

# სამაჩაბლოს ალანიას არქმევენ

## ცხინვალი გადაწყვეტილებას 9 აპრილს მიიღებს

**ცხინვალის მეთაურმა ლეონიდ თიბილოვმა გადაწყვიტა, სამაჩაბლოს საბოლოოდ შეუცვალოს სახელი და ამასთან დაკავშირებით რეფერენდუმი დანიშნა. მისი განკარგულების თანახმად, მიმდინარე წლის 9 აპრილს გაიმართება რეფერენდუმი, სადაც მოსახლეობას ერთ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა – უნდათ თუ არა, რომ სამხრეთ ოსეთის დასახელება ალანიათი შეიცვალოს.**

თიბილოვის ე.წ. ბრძანებაში აღნიშნულია კითხვის ფორმულირება, რომელსაც რესპუბლიკის მოსახლეობამ უნდა უპასუხოს:

– თანახმა ხართ თუ არა, კონსტიტუციის პირველი თავის პირველ მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა – ალანიის სახელმწიფო – სუვერენული, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც შეიქმნა რესპუბლიკის მოსახლეობის თვითგამორკვევის საფუძველზე. სახელწოდება – სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და ალანიის სახელმწიფო ერთი და იგივეა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ინიციატივით თიბილოვი გასულ წელსაც გამოვიდა. ალანიად ქცევის სურვილი მას ინგუშეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ გაუჩინა.

გასულ წელს ინგუშებმა თავიანთი დედაქალაქის – მაგასის შესასვლელში კარიბჭე აღმართეს და მას ალანიის კარი უწოდეს.

ინგუში ისტორიკოსების მტკიცებით, ძველი ალანიის სამეფო სწორედ მათი ტერიტორიიდან იწყებოდა და ისინი იყვნენ ალანიის სამეფოს მემკვიდრეები.

თიბილოვმა ამის შემდეგ გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაემყარებინა ალანია და ისტორიული სამაჩაბლოსთვის მოინდომა მისი დარქმევა.

მაშინ მის ინიციატივას ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. საქართველოს ხელისუფლებას არანაირი რეაქცია არ ჰქონია. ოფიციალურ თბილისს კარასინი-აბაშიძის მოლაპარაკებების დონეზეც კი არ გაუპროტესტებია ეს ფაქტი.

ცხინვალში და ჩრდილოეთში გაჩენილი პროტესტის შემდეგ, თიბილოვი დროებით დადუმდა და ეს თემა აქამდე აღარ უხსენებია. მისი მთავარი საზრუნავი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე რეფერენდუმის ჩატარება იყო.

ამ საკითხზე მას რუსეთშიც სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა და ეს თემაც დროებით დაავიწყეს. ადგილობრივი მედია და ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ მისი ინიციატივა საპრეზიდენტო არჩევნებთან იყო დაკავშირებული.

თიბილოვი ამ არჩევნებში თავადაც მონაწილეობს და ხალხის გულის მოგება ამ თემით სურს. რუსეთის მსგავსად, შეერთების იდეა არც ცხინვალელთა დიდმა ნაწილმა მოიწონა. ისინი ამბობენ, რომ დამოუკიდებელ რესპუბლიკად უნდა დარჩნენ.



ამ თემაზე თავისებური პიარი გაიკეთა ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ. მართალია ის კომიკური ფიგურაა, მაგრამ ამ თემის წამოწევით რაღაც ქულები დააგროვა. ის პოლიტიკაში დამოუკიდებლობის დაცვის იდეით დაბრუნდა.

მოქმედმა პრეზიდენტმა კი სხვა გზა გამონახა ხალხის გულის მოსაგებად. მან სახელის შეცვლაზე დანიშნა რეფერენდუმი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებს დაამთხვია.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ცხინვალში ბევრს აქვს. მათი განმარტებით, ეს რეფერენდუმი პიარის მიზნით დაინიშნა.

თიბილოვის მტკიცებით კი, მას ისტორიული სამართლიანობის აღდგენა სურს. ამბობს, რომ საბოლოო სიტყვა ხალხზე იქნება დამოკიდებული.

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ინიციატივაზე სათანადო რეაგირებას მოახდენს, ისტორიული სამაჩაბლოსთვის ალანიის დარქმევა უკვე მართლაც ნამეტანია.

და კიდევ, როგორც ამბობენ, მათ ცხინვალისთვისაც უნდათ სახელის შეცვლა და მისთვის სტალინირის დარქმევას აპირებენ. ეს სახელი ამ ქალაქს წლების წინ ერქვა.

# რამაზ საყვარელიძე: „შეიძლება შემთხვევითი ადამიანებით დაკომპლექტებული ე.წ. მესამე ძალა მივიღოთ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, არასაპარლამენტო ოპოზიცია გაზაფხულზე ქუჩაში აპირებს გამოსვლას და გარკვეული საკონსტიტუციო ცვლილებების გაპროტესტებას. რას დაუპირისპირებს ამას ხელისუფლება და თუ ფიქრობთ, ვინაიდან არასაპარლამენტო ოპოზიციას დიდი რეიტინგი არა აქვს, არც არაფერს დაუპირისპირებს?***

– ჩვენთან გაზაფხული სწორედ ის დროა, როდესაც პოლიტიკური პროცესები ცოცხლდება. ახლა რაც შეეხება, რა უნდა დაუპირისპიროს ხელისუფლებამ ოპოზიციის პროტესტს, მე პირდაპირ გეტყვით, რომ ეს პროტესტი ხელისუფლებისთვის დიდად სადარდებელი არ უნდა იყოს იქიდან გამომდინარე, რომ მათი პროტესტის საგანი, რამდენადაც ვიცი, არის საარჩევნო ბლოკების საკითხი და არა კონკრეტულად სოციალური თემატიკა, რომელიც ადამიანებს პირადად ეხებათ. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ საფრთხის შემცველი არ იქნება ეს პროტესტი ხელისუფლებისთვის.

***– თქვენ ამბობთ, რომ დღეს ქუჩაში ხალხი არ გამოვა?***

– დიახ, არ გამოვა ამ თემატიკიდან გამომდინარე. ეს პირდაპირ პარტიული ინტერესით არის განპირობებული. საქართველოს მოქალაქეებისთვის სულ ერთია, ბლოკებად გამოვლენ, ცალ-ცალკე თუ საერთოდ არ გამოვლენ. ამიტომ მეეჭვება, რომ მსგავსმა საკითხებმა, თემებმა ზოგადად დიდი მხარდაჭერა მოიპოვოს საზოგადოებაში.




***– ხელისუფლებამ მართვის სტილში უნდა შეიტანოს თუ არა ცვლილებები, რადგან ქუჩაში პროტესტით გამოსულ ადამიანებს ხშირად ვხედავთ?***

– წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ამ ხელისუფლების სტილი არ არის ძალადობრივი და ამიტომ ადამიანები თავისუფლად გამოდიან ქუჩაში და აპროტესტებენ კიდეც. ეს არ არის ცუდი, პირიქით, მაგრამ შემდეგ როგორ ვითარდება მოვლენები, ეს არის მნიშვნელოვანი. ვგულისხმობ, ხელისუფლებამ წაუყრუა ამ პროტესტს თუ სადაც შეეძლო, იქ გაითვალისწინა, გამოასწორა და ა.შ. ჩვენ გვახსოვს, ადამიანები თუ გამოვიდოდნენ ქუჩაში პროტესტით, როგორ სრულდებოდა ეს პროტესტი, როგორ გადაჰყავდათ პოლიციის განყოფილებებში ეს ადამიანები. ამ შემთხვევაში მათი პროტესტის გათვალისწინებაზე საუბარი არც კი იყო.

***– მაშინ მოქალაქეების პროტესტის ადრესატი საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო იყო.***

– გეთანხმებით. თქვენ მართვის სტილი ახსენეთ და ეს ხაზი მინდა გავაგრძელო. წინა ხელისუფლებისგან კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის ოპერატიულობა, გადაწყვეტილების მიღების უნარი, რომელიც წინა ხელისუფლებას უფრო ჰქონდა. დღეს ოპერატიულობა ნაკლებია. ამის გამო შედეგიანობა, ის მოლოდინი, რომელიც აქვს მოსახლეობას, ეფექტს კარგავს. დღეს ნაკლებად ოპერატიულია ხელისუფლების მოქმედება ყველა დონეზე.

***– ბოლო არჩევნებზე ამომრჩევლის დაახლოებით 60% არჩევნებზე არ მივიდა პროტესტის ნიშნად და სახლში დარჩა. მათ არც ოპოზიციის სჯერათ და არც ხელისუფლების. სწორედ ამიტომ გკითხეთ, ამის გათვალისწინებით თუ აქვს ხელისუფლებას მართვის სტილში კორექტივები შესატანი?***

– სწორი ბმაა, თქვენ გულისხმობთ, რამდენად შეძლებს ეს ხელისუფლება თავისი ამომრჩევლის დაბრუნებას სწორედ მართვის სტილის ცვლილებით, ახალი მიდგომებით, ეს ურთულესი იქნება. მეტიც, თითქმის შეუძლებელიც კი და ეს არ არის განპირობებული მხოლოდ იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლებამ გარკვეული იმედგაცრუება გამოიწვია ადამიანებში, შეუძლებელია 2012 წლის განმეორება.

ისე, ზოგადად, თუ ხელისუფლება გააცნობიერებს, რაშია პრობლემა და მას მოხსნის, ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულება შეიცვლება.

***– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ დღეს ძალაუფლება ქუჩაში გდია, ეთანხმებით?***

– ეს ფორმულა, თავის დროზე ბოლშევიკების რევოლუციას სდევდა თან და რა მოჰყვა კარგი ამას?! ძალაუფლება აიღო სწორედ ქუჩაში მყოფმა ძალამ. ქუჩაში დაგდებული ძალაუფლების აღება თუ არის მიზანი, მაშინ მისი ამღები აუცილებლად ავანტიურისტი იქნება.

***– ხშირად არის საუბარი ე.წ. მესამე ძალაზე, რას იტყვით, შეიძლება გამოჩნდეს, სწორედ იმ 60% გათვალისწინებით?***

– ვინაიდან ამდენი ხანი არ გამოჩნდა, მე სულაც არ გამოვრიცხავ ერთგვარ საფრთხეს, რომ შეიძლება სრულიად შემთხვევითი პიროვნებებისგან დაკომპლექტებული თუ შემდგარი მესამე ძალა მოვიდეს. ეს საფრთხე რეალურია.

***– რატომ?***

– პაატა ბურჭულაძეს და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს გაგახსენებთ. ის ცნობილი შეცდომები რომ არ მოსვლოდა ბურჭულაძეს და რეიტინგი რომ არ დაეკარგა, ხომ იქნებოდა მესამე ძალა. უდავოდ იქნებოდა მესამე ძალა და პარლამენტშიც იქნებოდა, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ხომ მიხვდებოდა ხალხი, ღიად გამოჩნდებოდა, რომ სრულებით არაკომპეტენტურია პოლიტიკაში. შეიძლება ვიღაცას მოსწონს და მიესალმება კიდეც პოლიტიკაში გამოუცდელ, მოქალაქეებისთვის უცნობ ახალ პოლიტიკურ ძალას და მას ერთგვარ გამართლებასაც კი უძებნიდეს, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემი ხანგრძლივი გამოცდილებიდან გამომდინარე ვსაუბრობ, რომ ამას ახლავს რისკები და თან სერიოზული რისკები. პოლიტიკა არ არის მარტივი საქმე.

***– ბატონო რამაზ, 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს, როცა მოვიდა პოლიტიკაში, თითქმის არავინ იცნობდა.***

– არავინ არ იცნობდა, როგორც პოლიტიკოსს, იცნობდნენ, როგორც ქველმოქმედს. ისევე, როგორც პაატა ბურჭულაძეს იცნობდნენ, როგორც დიდ ხელოვანს, საოპერო მომღერალს, რამაც განაპირობა კიდეც მისი რეიტინგი, მაგრამ როგორ გაიფლანგა შემდეგ ეს რეიტინგი, ხომ ვნახეთ. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, ეს არის გამონაკლისი, შეიძლება ვთქვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ უამრავი თავსატეხი გასჩენოდა ქვეყანას.

***– პოლიტიკა უნდა აკეთონ პოლიტიკოსებმა?***

– დიახ, თუმცა, ასე მარტივად არ დგას საკითხი, რთული თემაა. განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ვინ არიან პოლიტიკოსები?! პოლიტიკა, როგორც ასეთი, არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ ისწავლება, კადრები, როგორც ასეთი, არ მზადდება. ეს ცოტა სხვა პროცესია. ჩვენთან, პრაქტიკული პოლიტიკა ხომ ზოგჯერ თავშესაფარიც არის. ეს კარი ღიაა ყველა ტიპის ადამიანისთვის. მოსახლეობაზე არის ბევრი რამ დამოკიდებული, მით უფრო მაშინ, თუ ქუჩაში გდია ძალაუფლება.

# ალეკო ელისაშვილი: „მექრთამეების სასარგებლოდ ჯარიმის გადამხდელი და ბოდიშის მომხდელი არ ვარ“



– მექრთამეების სასარგებლოდ მე ჯარიმას არ ვიხდი.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა ეკა ბესელიასთან მიმდინარე სასამართლო დავის კომენტირებისას განუცხადა.

როგორც ელისაშვილმა აღნიშნა, 7 თებერვალს გამართული სასამართლო პროცესი სტანდარტული პროცედურა იყო და მოსამართლემ მხარეებს უბრალოდ მოუსმინა. რაც შეეხება მოლოდინებს, საკრებულოს დეპუტატის თქმით, ამ ეტაპზე რაიმე პროგნოზის გაკეთება გაუჭირდება.

– მაინც იმედს დავიტოვებ, რომ მოსამართლე კუჭავა არ აღმოჩნდება სხვების მსგავსი და არ აღმოჩნდება ბესელიას ჯიბეში. დღევანდელი პროცესიდან ვერანაირ დასკვნას ვერ გავაკეთებ, – განაცხადა ელისაშვილმა.

თუ სასამართლომ ალეკო ელისაშვილის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და ეკა ბესელიას სარჩელი დააკმაყოფილა, საკრებულოს დეპუტატი მის აღსრულებას არ აპირებს.

– არანაირი ჯარიმის გადამხდელი არ ვარ და ბოდიშის მომხდელი მითუმეტეს. ამის თქმა წინასწარ შემიძლია. მექრთამეების სასარგებლოდ მე ჯარიმას არ ვიხდი. ჯერ ერთი, არც მაქვს 20 ათასი და, მით უმეტეს, ეკა ბესელიასთვის მისაცემი 20 ათასი. საინტერესოა, რომ ბესელიამ საკუთარი რეპუტაცია, პატივი და ღირსება 20.500 ლარად შეაფასა, ესეც ნიშანდობლივია, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი ეკა ბესელიას და მანანა კობახიძეს პატიმრების შეწყალების სანაცვლოდ ქრთამის აღებაში ადანაშაულებს.

როგორც ელისაშვილი აცხადებს, დეპუტატები ხშირად უკავშირდებოდნენ მას და სთხოვდნენ კონკრეტული პატიმრების შეწყალებაზე პრეზიდენტთან რეკომენდაციის გაწევას.

**ინტერპრესნიუსი**


**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ აღიარა, რომ არაფრის კეთება არ შეუძლია“

## ვინ და რატომ ანგრევს სახელმწიფო ინსტიტუტებს

შორენა მარსაგიშვილი

**ვის ინტერესებშია სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია, რა არის ქვეყნისთვის მთავარი საფრთხე, დაემსგავსება თუ არა „ოცნება" ნაციონალური მოძრაობას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***– მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს სასამართლოს დისკრედიტაციის მცდელობაში ადანაშაულებენ. თქვენ რას ფიქრობთ ამისთან დაკავშირებით, რასთან გვაქვს სინამდვილეში საქმე?***

– მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ვერსიები მაქვს, საბოლოო დიაგნოზის დასმას არ ვიჩქარებ და დავიცავ როგორც ხელისუფლების, ასევე ნაციონალური მოძრაობის უდანაშაულობის პრეზუმფციას. ჩვენი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა და ორივე თავისი რწმენით მოქმედებს. ლოგიკას არ მისდევენ და თავიანთი შეხედულებების მიხედვით გამოაქვთ დასკვნაც და ვერდიქტიც.

ჩვენ მუდმივად ორ მონოლოგთან გვაქვს საქმე, რაც, საბოლოო ჯამში, დიდ კონფრონტაციაში გადადის. ეს მანკიერი წრე ქვეყანას განვითარების შესაძლებლობას არ აძლევს. სწორედ ამიტომ არ მივცემ თავს იმის უფლებას, რომ ჩემს ვერსიებზე ღიად ვისაუბრო, მაგრამ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, საბოლოო ჯამში, ჩემს ხელისუფლებასთან მაქვს პრეტენზია.

***– ხელისუფლებასთან რატომ გაქვთ პრეტენზია?***

– რამდენიმე მიზეზის გამო. თუ ხელისუფლება ახდენს სასამართლო ინსტიტუტის დისკრედიტებას, ეს დიდი უბედურებაა. და მეორე, თუ სხვა აკეთებს ამას და ხელისუფლება ვერ ახერხებს ფუნდამენტური ინსტიტუტების დაცვას, მაშინ ის, მინიმუმ, უვარგისია.

ორივე შემთხვევაში ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება, თანაც მარტო ეს საქმე ხომ არ არის? ყველას რატომღაც დაავიწყდა, რომ არჩევნების წინ 2 საქმე აღძრეს სახელმწიფო გადატრიალების მუხლით. დღეს ვერავინ იტყვის, სად არის ეს საქმეები.

***– ეს საქმეები, სავარაუდოდ, სუსის არქივში ინახება.***

– საქმეც ისაა, რომ ან არქივში ინახება, ან რომელიმე თაროზეა შემოდებული. ასე ინგრევა სახელმწიფო ინსტიტუტები. სასამართლოს კი მაინც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს – სიმართლის ძებნის გზაზე მოქალაქისთვის ის ბოლო ინსტანციას წარმოადგენს. სასამართლო სისტემა თუ მოირყა, რაზე ვლაპარაკობთ მაშინ საერთოდ?

ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებიან, რომ თურმე კიევში მყოფი ნაგიჟარი სააკაშვილი მართავს სასამართლოს თბილისში ესემესებითა და სატელეფონო საუბრებით. ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ ძალიან დიდ შარში ვართ. იბადება კითხვა – რას აკეთებს ამ დროს ხელისუფლება? ამ განცხადებებით, ფაქტობრივად, აღიარებით ჩვენებას იძლევა და ამბობს, რომ მას არაფერი შეუძლია.

არ არის გამორიცხული, რომ კიდევ უფრო უარესად არის საქმე და „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, მართოს ის ურჩხული, რომელიც წინა ხელისუფლებამ გამოჩეკა. შესაძლოა, მოეწონათ მასთან ურთიერთობა და მისი მართვა გადაწყვიტეს. პრობლემა სახელებსა და გვარებში არასდროს არ არის, არც მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი ყოფილა პრობლემა. პრობლემა ყოველთვის სისტემაშია.

2012 წელს ჩვენ რეჟიმი დავამარცხეთ, მაგრამ სისტემის დემონტაჟი ვერ მოვახერხეთ. სისტემამ განიცადა ტრანსფორმაცია, მშვენივრად მოერგო დღევანდელ სიტუაციას და მივიღეთ ერთგვარი ურჩხული. მას თავისი პატრონი ჰყავს მძევლად აყვანილი და, საბოლოო ჯამში, მას ჭამს. ასე შეჭამა 2012 წელს ამ სისტემამ სააკაშვილი.

***– ეს სისტემა „ოცნების“ ხელისუფლებასაც შეჭამს?***

– ასე თუ გააგრძელეს, ახლო მომავალში „ქართულ ოცნებასაც“ შეჭამს ეს ურჩხული.

***– სასამართლოს გარდა, სხვა ინსტიტუტების დისკრედიტაციაც მიდის. სადამდე შეიძლება, ეს პროცესი გაგრძელდეს ან რა არის ამის მიზანი?***

– მიზანი რა არის, ვერ გეტყვით, მოცემულობა კი ასეთია – პრეზიდენტის ინსტიტუტზე გამუდმებით მიმდინარეობს შეტევა, დისკრედიტებულია საკონსტიტუციო სასამართლო, მიმდინარეობს მოსამართლეების სრული გათელვა, პარლამენტი არის ამორფული საკონსტიტუციო უმრავლესობა, სადაც პიროვნებებს საერთოდ ვერ ვხედავ.

მთავრობას რაც შეეხება, მგონი, ქვეყანაში არავის აქვს იმის განცდა, რომ გიორგი კვირიკაშვილს რამის გადაწყვეტა ან რამეზე პასუხისმგებლობის აღება შეუძლია. ამ ინსტიტუტების სრულფასოვნება ეჭვის ქვეშ დგას.



მედიაშიც საინტერესოდ ლაგდება პროცესები. იქმნება რაღაც გაუგებარი ჰოლდინგური წარმონაქმნი. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავი 2-ს მძიმე წარსული აქვს და ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, ის საფრთხეს არ წარმოადგენს. საფრთხეს მედია მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს, თუ ის ხელისუფლების ხელში ხდება ინსტრუმენტი.

***– ოპოზიციის ხელში მედია საფრთხეს რატომ არ წარმოადგენს?***

– ოპოზიციის ხელთ არსებული მედიასაშუალება ქვეყანაში არ შეიძლება საფრთხე იყოს. შესაბამისად, არც რუსთავი 2 არის საფრთხე, მიუხედავად იმისა, რომ ის, შესაძლოა, რომელიღაც პარტიის პროპაგანდას ეწევა.

საფრთხედ ის მაშინ იქცევა, თუ იმ რაღაც გაუგებარ მედია-ჰოლდინგს შეუერთდა. ძალიან საეჭვოდ ვითარდება პროცესები საზოგადოებრივ მაუწყებელშიც. მაინცდამაინც ახლა აღმოაჩინეს, რომ იქ უბედურება ხდება. იქ 20 წელია, რაც უბედურება ტრიალებს.

ეს პროცესი თუ არ შეჩერდა, მივიღებთ ასეთ სურათს – სასამართლო, პარლამენტი, მთავრობა, ბიზნესი და მედია ექცევა ჩარჩოებში. ეს პროცესი რომ დასრულდება, რა განსხვავება იქნება ძველ სისტემასთან? არავითარი.

***– თქვენი აზრით, გავა ეს პროცესი ფინალში?***

– არ ვიცი, მაგრამ, არ მინდა, რომ პროცესი ფინალში გავიდეს. პარადოქსია, მაგრამ რუსთავი 2 ამ სარედაქციო პოლიტიკით თავად ხელისუფლებისთვის არის აუცილებელი. 10 სიუჟეტიდან 8 პროპაგანდა და ტყუილი რომ იყოს და მხოლოდ 2 სიმართლე, ისიც საკმარისია იმისთვის, რომ ხელისუფლებას განუკითხაობის პრევენციაში დაეხმაროს.

იგივე პრობლემა დგას ამერიკაში სიენენთან დაკავშირებით. ეს ტელეკომპანია ტრამპისთვის იგივეა, რაც ამ ხელისუფლებისთვის რუსთავი 2. ტრამპი ამ ტელეკომპანიას აგინებს, მაგრამ, წარმოგიდგენიათ, რომ მის წინააღმდეგ და მოსარჯულებლად სპეცოპერაცია ჩაატაროს? ასეთი რამე წარმოუდგენელია. ეს ტელეკომპანია ამერიკისთვის მხოლოდ მაშინ იქნება სახიფათო, თუ ის ტრამპის ხელში აღმოჩნდებოდა.

მედია ხელისუფლების ხელშია მხოლოდ საშიში, რადგან ძალადობაზე მონოპოლია აქვს ხელისუფლებას და, თუ მედიის დახმარებით მოახერხებს ძალადობის „გაპრავებას“, მაშინ ყველაფერზე მოაწერს ხელს. ასე იქცეოდა წინა ხელისუფლებაც.

***– გამოდის, რომ მხოლოდ ეს ერთი ნაბიჯიღა აშორებს „ოცნებას“, რომ დაემსგავსოს ნაციონალებს.***

– ჯერ ასე ვერ ვიტყვით, ჯერ პროცესი ფინალში არ გასულა. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა სასამართლო. იქ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბჟუტავს სამართლის აღსრულების სურვილი.

***– დარწმუნებული ხართ, რომ იქ არის ამის სურვილი?***

– ასე რომ არ იყოს, სასამართლოს წინააღმდეგ ამხელა კამპანია არ აგორდებოდა. გამოიტანდა საბოლოო ვერდიქტს მოსამართლე და ყველაფერი დამთავრდებოდა. აშკარაა, რომ სასამართლოს შიგნით ჯერ კიდევ ანთია პატარა სანთელი. აქედან გამომდინარე, ჩემთვის სასამართლო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსთავი 2-ის ბედი.

***– რატომ არის რუსთავი 2-ის ბედი ნაკლებად მნიშვნელოვანი?***

– ტელეკომპანიის მფლობელის შეცვლა, შესაძლოა, პრობლემატური იყოს, მაგრამ ამით არ მთავრდება ცხოვრება. საბედნიეროდ, საქართველოში არსებობს ალტერნატიული მედიასაშუალებები, საიდანაც შეიძლება სიმართლის გაგება. ამის გარდა, არის იმის შანსი, რომ ასეთი მედიის რაოდენობა კიდევ გაიზარდოს. სასამართლოს კი ველარაფერს ვუშველით, თუ მისი მონოპოლიზება ბოლომდე მოხდა. როგორც უკვე გითხარით, სწორედ სასამართლოა მოქალაქეებისთვის ბოლო იმედი სამართლის ძიების გზაზე.

ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ დღეს სასამართლოს სახე გახდა ლევან მურუსიძე. ის ბრიფინგებს ატარებს და სასამართლოსთან დაკავშირებით აკეთებს განცხადებებს. თითქოს სპეციალურად აკეთებენ ასე და წითელი ნაჭერივით გვიფრიალებენ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაც ნიშნის მოგებით გველაპარაკება – საზოგადოებას გვეუბნება, გირგვლიანს მახსენებთ? მაშინ მე მურუსიძით გპასუხობთ.

***– საზოგადოების მხრიდან რომ ყოფილიყო სათანადო რეაგირება, დაგველაპარაკებოდნენ ნიშნის მოგებით?***

– ვერ დაგველაპარაკებოდნენ, მაგრამ დღეს საზოგადოება აპათიაშია. საერთოდ ასე ხდება – დიდ ვნებათაღელვას აპათია მოსდევს. ჩვენი საზოგადოება იმიტომ არ გამოდის გარეთ, რომ ვერ ხედავს ძალას. დღეს ოპოზიციურ ფლანგზე მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა, რომელიც დაზიანებული ბრენდია და ხალხი მას არ ენდობა.

# დავით საყვარელიძე: „მეტი საქმე არ მაქვს, იმათ დაძახებულზე თვითმფრინავში ჩავჯდე და დაკითხვაზე გამოვცხადდე“



– მეტი საქმე არ მაქვს, იმათ დაძახებულზე თვითმფრინავში ჩავჯდე და გამოვცხადდე დაკითხვაზე რაღაც პაროდიულ საქმესთან დაკავშირებით.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ, უკრაინაში მყოფმა დავით საყვარელიძემ განუცხადა, რითაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან – ბესარიონ ალავიძესა და პაატა ქათამაძესთან დაკავშირებით მთავარი პროკურატურის მიერ გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

საყვარელიძის შეფასებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლის თაობაზე პროკურატურის მიერ გავრცელებული მასალები იუმორისტული და ღიმილისმომგვრელია.

– განცხადება გაკეთდა, სამწუხაროდ, იმ პროკურატურის მხრიდან, სადაც არაერთი წუთი გამიტარებია და ყველანაირად ვცდილობდით, რომ ეს ინსტიტუტი დამსგავსებოდა თანამედროვე ქართული სახელმწიფოსა და ხალხის სამსახურში მყოფ ინსტიტუტს და არა ერთი ოლიგარქის შეიარაღებაში მყოფ ნოტარიუსების დაწესებულებას, რადაც გადააქციეს.

უბრალოდ, გული მწყდება, რომ ამ უწყებაში არ დარჩა არცერთი ადამიანი, ვგულისხმობ, ხელმძღვანელ პირებს, ვინც ელემენტარულ იურიდიულ ფილტრში მაინც გაატარებს იმ სისულელეებს, რაც სუს-იდან ან შუშის სასახლიდან ჩამოდის ხოლმე.

ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ასეთი შეთითხნილი საქმეებითა და სასაცილო, მავნებლური სტანდარტებითაა ჩვენი მეგობრების დიდი ნაწილი დღეს ან ციხეში დამწყვდეული ან პასუხისგებაში მიცემული, ან უცხოეთში დევნილობაში მყოფი და ა.შ, – განაცხადა დავით საყვარელიძემ.

მისივე თქმით წერილს, რომელიც პროკურატურამ გამოაქვეყნა, არავითარი მაიდენტიფიცირებელი ნიშანი არ აქვს.

– ახლავე ამოვბეჭდავ წერილს, დავაწერ ბიძინა ივანიშვილს ან დონალდ ტრამპს და გამოაქვეყნოს პროკურატურამ, თუ ასეთ დონემდე დაეშვნენ. ხდება მასალების ფაბრიკაცია, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. მოსამართლეებზე ზეწოლა მართლაც მიდიოდა. ალბათ, მოსამართლეები ამით იყვნენ შეშფოთებულები, უნდოდათ, როგორც ჩანს, განცხადების გაკეთება და ამათ დაასწრეს, ფართხაფურთხით მოიფიქრეს ასეთი იდიოტობა, – განაცხადა საყვარელიძემ.

რაც შეეხება ამ საქმეზე მის შესაძლო დაკითხვას, როგორც მთავარი პროკურორის ყოფილმა მოადგილემ აღნიშნა, პროკურატურას შეუძლია, გამომძიებლები მასთან, უკრაინაში გააგზავნოს.

– მე ვარ უკრაინის მოქალაქე. თუ ფორმალობისთვის და საკუთარი თავის სამარცხვინოდ უნდათ ამის გაკეთება, გამოგზავნონ გამომძიებელი და მართლა ჩაატარონ გამოძიება. ამოიღონ კამერების ჩანაწერები, დაადგინონ, ვინ ფოსტალიონები გაიგზავნენ, ჩაატარონ ექსპერტიზა და ა.შ. მეტი საქმე არ მაქვს, იმათ დაძახებულზე თვითმფრინავში ჩავჯდე და გამოვცხადდე დაკითხვაზე რაღაც პაროდიულ საქმესთან დაკავშირებით, – განუცხადა ინტერპრესნიუსს დავით საყვარელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ზვიად ძიძიგური: „სააკაშვილმა სასამართლო ჯიბეში ჩაისვა“



– მიხეილ სააკაშვილი როცა პრეზიდენტი გახდა, ჯიბეში ჩაისვა სასამართლო და ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ისევ აგრძელებს სასამართლოზე ზემოქმედების მოხდენას.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზვიად ძიძიგურმა პროკურატურის ინფორმაციის კომენტირებისას აღნიშნა.

როგორც ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, ორიოდე დღის წინ ნაციონალური მოძრაობის ყველა ნაწილმა ცალ-ცალკე ჩაატარა ბრიფინგი, რომ მოსამართლეებზე ზეწოლას ახდენს ხელისუფლება და ერთმა ნაწილმა სუს-ს დააბრალა, მეორემ – სხვას და ა.შ.

ძიძიგურის თქმით, პროკურატურამ გაასაჯაროვა ის განცხადებები, წერილები და სმს-ები, რომელთა მიხედვითაც, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე ზეწოლა ხდებოდა.

– ირკვევა, რომ ეს ეჭვები უკავშირდება სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსნებს და უკრაინას, სადაც ისინი თავმოყრილები არიან ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. კატეგორიულად გამოირიცხა, რომ ხელისუფლება ახდენდა რაიმე სახის ზეწოლას ამ მოსამართლეებზე.

სააკაშვილი თავისი პოლიტიკაში მოსვლის დღიდან მუდმივად იყო სასამართლოზე ზემოქმედების მოხდენის მცდელობაში. როცა ოპოზიციაში იყო მაშინაც და როცა პრეზიდენტი გახდა, საერთოდ, ჯიბეში ჩაისვა სასამართლო.

ოპოზიციაში გადასვლის შემდგომ სააკაშვილი ისევ აგრძელებს სასამართლოზე ზემოქმედების მოხდენას. ჩემთვის ეს არის ძალიან რეალური და ძალიან დამაჯერებელი ამბავი. რა დასკვნებს გააკეთებს გამოძიება, ეს კიდევ სხვა თემაა. ასევე მოსამართლეებზე ზეწოლისთვის იყენებდნენ მთელ რიგ ადამიანებს, რომლებსაც ამ მოსამართლეებთან ჰქონდათ ძველი კავშირები. მათ შორის, ბატონ გვარამიას, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

მისივე თქმით, გავრცელდა სხვადასხვა ტიპის მასალები, სადაც ჩანს, რომ ნიკა გვარამიას ჰქონდა კომუნიკაცია ამ ხალხთან.

მისივე თქმით, გვარამია ზოგ ჩანაწერზე ამბობს, რომ ავთენტურია, ზოგზე კი ამბობს, რომ დამონტაჟებულია.

ზვიად ძიძიგურის განცხადებით, ეს ძალიან ჩახლართული ამბავია და პროკურატურა ამ ყველაფერს გამოიძიებს და თავის სახელს დაარქმევს.

**ინტერპრესნიუსი**

# ანზორ წოწონავა: „დევნილების შემწეობებთან დაკავშირებული ინიციატივა არის დივერსია ხელისუფლების წინააღმდეგ“

## „იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ ერთიანი სტრატეგია არ არსებობს“

მარიამ მჭედლიშვილი

**„ახალი თაობა" ესაუბრება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავას.**

***– დევნილთა სამინისტროს ინიციატივას დევნილთა ნაწილისათვის შემწეობების მოხსნის შესახებ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ამ ინიციატივის უკან წაღებას არ აპირებენ?***

– ჯერჯერობით ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ჩვენ ამ საკითხზე პარლამენტშიც გვქონდა შეხვედრები. პირადად მე იქ განვაცხადე და ახლაც ვიმეორებ, რომ დევნილთა სამინისტროს ეს ინიციატივა არის დივერსია ხელისუფლების წინააღმდეგ. ამით წყალში იყრება ყველა კარგი საქმე, რაც 2012 წლის შემდეგ გაკეთდა. ამ დროიდან მოყოლებული, ბინებით დააკმაყოფილეს 40 000-მდე დევნილი ოჯახი, მაგრამ ერთიანი სტრატეგია იძულებით გადაადგილებული პირების მიმართ ისევ არ არსებობს. გია ვოლსკიმ აღიარა, რომ ეს კანონპროექტი მიუღებელია.

***– სამინისტრო როგორ განმარტებას იძლევა?***

– სამინისტროს არგუმენტაცია თითქმის 100 გვერდს მოიცავს. ერთ-ერთი არგუმენტი ისაა, რომ შემწეობა დარჩებათ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფებს.

***– დანარჩენებს აღარ მისცემენ შემწეობას?***

– ასეა პროექტით. შემწეობას უკავშირებენ ქულებს. არადა, ოჯახის სოციალურ მდგომარეობას სამართლიანად ქულებით ვერ შეაფასებ. ჩვენმა ოჯახმა ნაცნობ ოჯახს ძველი მაცივარი მისცა და მას ამის გამო დახმარება მოუხსნეს.

***– რას უკავშირდება ამგვარი ინიციატივა?***

– წინა მინისტრის, დარახველიძის დროს უნდოდათ დევნილთა კანონში ცვლილებების შეტანა. ამ ცვლილებებით, 45-ლარიანი შემწეობა აღარ უნდა მიეღო იმ დევნილს, რომლის შემოსავალი თვეში, მინიმუმ, 1250 ლარია. ამავდროულად რეგისტრაციაში არ უნდა გაეტარებინათ „შერეული“ ოჯახების შვილები.

***– ბოლო ინიციატივით, დახმარება უფრო ბევრს მოეხსნება.***

– დიახ. ჯერ ერთი, დევნილთა აბსოლუტურ უმრავლესობას უჭირს. ჩვენთან არც უმუშევრობის კომპენსაცია გაიცემა და არც პენსიები დამსახურების მიხედვით. ამიტომ ეს 45 ლარიც რაღაცას ნიშნავს. მეორეც, ეს პოლიტიკური საკითხია. საქმე გვაქვს ადამიანებთან, რომლებიც იძულებით გამოდევნეს. მათ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უძრავ-მოძრავი ქონება დატოვეს.

***– მათი ქონებრივი უფლებებიც აღსადგენია?***

– რასაკვირველია. 2007 წელს პარლამენტმა მიიღო რესტიტუციის კანონი, რომელიც მხოლოდ ცხინვალის რეგიონს ეხება. აფხაზეთზე აქ არაფერია ნათქვამი. ეს კანონიც არ სრულდება. აფხაზეთში დატოვებული ქონება რომ დავიბრუნოთ, ამისთვის უნდა მივიღოთ კანონმდებლობა. ამას გვირჩევენ ევროსტრუქტურები. რესტიტუციის კანონიც მივიწყებულია. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ვიღაცას უნდა, საერთოდ მოიშოროს დევნილები. შემწეობების მოხსნისა და შემცირების იდეა სააკაშვილის დროს არსებობდა. ნაციონალებს უნდოდათ შესაბამისი კანონის მიღება, მაგრამ ვერ გაბედეს. სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ დევნილები არ გამდიდრებულან, თუმცა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა შემცირდა.

***– ქაღალდზე?***

– დიახ. სტატისტიკის თანახმად, ადრე 140 000 გაჭირვებული დევნილი იყო, ახლა კი დაახლოებით 47 000-ია. მათ დახმარება მოეხსნათ. დევნილს, რომელიც ბინას იღებს, შემწეობა და კომუნალური შეღავათები უუქმდება. სრული „დომხალია“ იმის გამო, რომ არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი სტრატეგია დევნილების მიმართ. ის ეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს. დევნილები არ არიან დაყოფილი კატეგორიებად. არაა აღრიცხული, რომელი ოჯახიდან ვინ იბრძოდა ომში, ვინ დაიღუპა, ვის როგორი პირობები აქვს. ბინებით ყველა არ არის დაკმაყოფილებული. უბინაო დევნილებმა არ იციან, რა ელით. მათ ესმით ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. ისინი მზად არიან, დაიცადონ. მთავარია, მათ მკაფიოდ უთხრან, როდის მისცემენ საცხოვრებელ ფართს. ეს ყველაფერი, შემწეობის რეფორმის პრობლემასთან ერთად, სახელმწიფოს საზრუნავი უნდა იყოს, ისევე, როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.



# ენძელა მაჭავარიანი: „ვიზალიბერალიზაციის შემდეგ ემიგრანტები დაბრუნდებიან“



გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ დეპუტატ ენძელა მაჭავარიანთან

***– ბევრს არ ეგონა, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხი ახლა გადაწყდებოდა. თქვენ რა მოლოდინი გქონდათ?***

– რა თქმა უნდა, ვიზალიბერალიზაციის პროცესს ისეთი წანამძღვრები ჰქონდა, რომ 2 თებერვლის ევროპარლამენტის სხდომაზე მხარდაჭერას აუცილებლად მოვიპოვებდით. მიუხედავად ამისა, როდესაც სხდომას პირდაპირ ეთერში ვუყურებდი, მაინც ვღელავდი.

***– გერმანელმა დეპუტატმა თქვა, რომ საქართველოს ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია კრიმინოგენურ ვითარებას გაართულებს. დასკვნას იქიდან გამომდინარე აკეთებდა, რომ ცოტა ხნის წინ, გერმანიაში ქართველები დააპატიმრეს.***

– ამ განწყობას ვერ გავიზიარებ. აზრს კრიმინოგენული ვითარების გართულებაზე არ ვიზიარებ, მაგრამ ეს განცხადება ჩემთვის მაინც შეურაცხმყოფელია. „უფალი, სამშობლო და ადამიანი“ ეს სამი უმნიშვნელოვანესი ფენომენი დაგვისახა ჩვენმა პატრიარქმა ცხოვრების არსად და ჩემთვის ჩემი ხალხი ისეთივე ძვირფასი და საყვარელია, როგორც ჩემი სამშობლო. დამნაშავესა და ტერორისტს კი ეროვნება არ აქვს.

***– ერთ-ერთი ევროდეპუტატის გამოსვლაში, რომელიც არ ეთანხმებოდა ჩვენს ვიზალიბერალიზაციას, ამოვიკითხე ნაცმოძრაობის განცხადებების გამოძახილი. მან ახსენა რუსთავი-2, სასამართლო, პოლიტიკური პატიმრები. თქვენ როგორ მოისმინეთ მისი გამოსვლა?***

– მოდით, ნურც ამ ამბავს ჩავთვლით ტრაგედიად, ცოტა იუმორიც მოვიშველიოთ და დავფიქრდეთ, ვგონებ, ნაცმოძრაობიდან მალე მხოლოდ ეგ გამოძახილები დარჩება. თანაც, თქვენ საუბრობთ დეპუტატზე. დემოკრატიულ გარემოში მას აქვს უფლება, რაც უნდა, ის ილაპარაკოს. დემოკრატიის ყველაზე დიდი მონაპოვარია თავისუფალი მედიის, მედია პლურალიზმის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად, რბილად რომ ვთქვათ, მეც არ მომწონს ესა თუ ის ჟურნალისტური პროდუქტი, ნერვებსაც მიშლის ზოგიერთი მედიასაშუალების არაობიექტურობა, ხშირად არც ყოფილი ხელისუფლების ნარჩენების უტიფრობას აქვს საზღვარი, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ სიტყვის თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა, ისევე, როგორც საკუთრების, შრომის და სხვა ისეთი ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რომელზეც დგას დემოკრატია.

***– რას სიკეთეს მოგვიტანს ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია?***

– ვიმსჯელოთ. ევროპა, თავისთავად, მხოლოდ გეოგრაფიული ადგილი არ არის, ევროპა არის კრებული ღირებულებებისა, რომელზეც თანხმდებიან განსხვავებული იდენტობის მატარებელი ადამიანები. ევროპა არის განსხვავებულთა ერთობა და ჩვენ ევროპისთვის საინტერესონი ვართ სწორედ ჩვენი ტრადიციებით, თვითმყოფადი კულტურით, ჩვენი იდენტობით. ევროპა განსხვავებულთა ერთობაა, მაგრამ თანხმდება ძირითად ღირებულებებზე. ამიტომ შიში იმისა, ხომ არ დავკარგავთ ჩვენს თვითმყოფადობას, ჩვენს ტრადიციებს, ვფიქრობ, სრულიად უსაფუძვლოა. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი ანბანი, დედა ენა, ქვევრის ღვინო იუნესკომ მსოფლიო კულტურის მემკვიდრეობად აღიარა.

1981 წელს, როდესაც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოვიპოვეთ, ევროპაში ფურორი მოვახდინეთ. მსოფლიო ფეხზე იდგა და ქედს იხრიდა ჩვენი ფეხბურთელების წინაშე. წუთით დავფიქრდეთ და წარმოვიდგინოთ, როგორი მომავალი ექნებოდა ყიფიანს, ჩივაძეს, დარასელიას, გუცაევს, გაბელიას, შენგელიას, სულაქველიძეს, თავაძეს, ყველას ვერ ჩამოვთვლი, ყველა მათგანი ვარსკვლავი იყო და საშუალება რომ ჰქონოდათ, მართლაც იბრწყინებდნენ ევროპულ გუნდებში. მინდა, ჩვენი შესვლა ევროპაში, ისეთივე საზეიმო იყოს, როგორც იმ თასის მოპოვება. ქართველ ხალხს ეს შეუძლია და მე ჩემი ხალხის ნამდვილად მჯერა.

***– ამბობენ, თუ აქამდე საქართველოს ორი მოქალაქე მიდიოდა, ახლა ოთხი წავაო. გულისხმობენ იმას, რომ ბევრი ქართველი წავა საქართველოდან და აღარ დაბრუნდება.***

– გეთანხმებით, ოთხიც წავა და ათიც, მაგრამ იმაში ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ყველა დაბრუნდება. ქართველს, განცხრომით სხვაგან ყოფნას, საკუთარ მიწაზე ურჩევნია სიკვდილი. ავიღოთ მარტივი მაგალითი, სადაც კი ადამიანებმა ხის გათლა ისწავლეს, პირველ რიგში, ნავები გამოთალეს და მოგზაურობა დაიწყეს. ქართველებმა კი, მიუხედავად იმისა, რომ ზღვისპირა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ნავის ნაცვლად საწნახელი გამოთალეს, ღვინო დაწურეს და სტუმარს, ამბის მომტანს, სახლში დაუწყეს ლოდინი. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ხალხი საკუთარ მიწას საბოლოოდ არ მიატოვებს, შინ აუცილებლად დაბრუნდება, რადგან ასეთ პირობებში წასვლაც ადვილი იქნება და დაბრუნებაც.

# თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას

### ბატონო დავით!

მოგმართავთ კიდევ ერთხელ,**რომ დედაქალაქის გულში, გმირთა მოედანზე აღმაშენებლის 36-წლიანი მეფობისა და მოღვაწეობის აღსანიშნავად დაიდგას (სურათზე ნაჩვენები) 36 კიბის საფეხურიანი აღმაშენებლის მემორიალი ოქროს გვირგვინით** (ოქროს გვირგვინის დადგმის ხარჯებს პირწმინდად გაიღებს ქვლივიძეების საგვარეულო). დაწყებული პირველი საფეხურით 1089 წლიდან, და დამთავრებული 1125 წლამდე გარდახდილი მოვლენების მინიშნებით.

**მაგალითად:**

წარწერა 1-ელ საფეხურზე: 1089 წელი. 16 წლის დავითის გამეფება და მისი უპირველესი დევიზი: „თავის თავს აუკრძალა დატკბეს მეფური ცხოვრებით“.

მე-2 საფეხურზე: 1090 წელი. დაამკვიდრა მმართველობის სტილი „ღირსეულთა ამაღლებისა და უღირსთა დამდაბლებისა“.

მე-16 საფეხურზე: 1105 წელი. დავითმა დაიწყო და განამტკიცა ბრწყინვალე რეფორმები.

32-ე საფეხურზე: 1121 წელი. დიდგორი. „ძლევაი საკვირველი“.

33-ე საფეხურზე: 1122 წელი. 400 წლის მტრის ტყვეობაში მყოფი თბილისის განთავისუფლება. და ა. შ.

დარწმუნებული ვარ, რომ 36-ვე საფეხური იქნება მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით კი ფეხის დადგმა გახდება არა მარტო ამაღელვებელი, არამედ სიხარულის მომგვრელი და გულის სიღრმემდე ჩაწვდომის შეხსენებაც, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის სტილი. ლოგიკური ანალიზით კი, ჩინებული იქნება, პრეზიდენტმა, პრემიერმა და პარლამენტარებმაც ერთგულების ფიცი სწორედ აქ დადონ.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ მემორიალის იდეას პრესაში გაჟღერებისთანავე მოჰყვა არა მარტო **გამოხმაურებები, თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის** („საქართველოს რესპუბლიკა“, 5-10.XII.2014 წ.), არამედ თანხების გაღების სურვილიც კი, და მისი დადგმის ღირებულებას**გადააჭარბა.** საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმო-



ვადგენ კიდევ ერთ **ფრიად მნიშვნელოვან ინოვაციურ იდეას, რომლის დედააზრი დაჯაბნის დღემდე მსოფლიოში შექმნილ მემორიალებს,** გარშემორტყმულს იმავე გმირებით (რადგან მათი სახელები დღეს გმირთა მოედანზე ვერ იკითხება), დღეს არსებულზე უკეთესი მინიშნებით და გაბრწყინებით.

მემორიალი ოქროს შარავანდედით შემოსავს ჩვენს სახელოვან წინაპრებს, ჭარბ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რადგანაც მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყნებში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტული და ემოციური დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს. მით უმეტეს, მისი ხსენების დღეს 8 თებერვალს ბევრს სურვილი ექნება ეამბოროს მირონცხებულ მეფეს. **აქედან მიღებული თანხები კი მთლიანად მივმართოთ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს, მათ კეთილდღეობას და მორალურ გამხნევებას.**

ამ გარემოებას თუ წესად ვაქცევთ, თაობებიდან თაობებს ცოცხლად გადაეცემა ჩვენი ნამოქმედარი. მოზარდების გულის ტკივილსაც შევამსუბუქებთ და მათ სულში გმირული სხივიც აკიაფდება, რადგან ეცოდინებათ, რომ გმირთაგმირი მეფის ნაღვაწის დათვალიერებით მოზიდული სახსრები მათ ზრდა-განვითარებას ხმარდება.

თამაზ ქვლივიძე

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პაატა შეშელიძე: „ლარიზაცია ლარს ვერ გაამყარებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი, ეკონომიკის ექსპერტი პაატა შეშელიძე პასუხობს.**



***– ბატონო პაატა, ლარიზაციის გეგმის ჩავარდნაზე უკვე აქტიურად დაიწყო საუბარი. ითქვა ისიც, რომ ძალიან მცირეა რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებმაც სესხები დოლარიდან ლარში გადაიტანეს. რატომ არ გაამართლა გეგმამ, რომელიც ასე ზარ-ზეიმით წარადგინეს?***

– მოდით, პრაქტიკულად შევხედოთ საკითხს – უცხოურ ვალუტაში სესხები არის ფიქსირებული. ამიტომ, ვინც აიღო, იმან იცის ზუსტად, თუ რა თანხა უნდა გადაიხადოს იმ ვადაში, რა ვადებშიც ეს სესხი აქვს აღებული. ლარში სესხები არ არის ფიქსირებული. ის დამოკიდებულია სხვა ფაქტორებზე.

***– იმაზეც, თუ როგორი იქნება ლარის კურსი დოლართან მიმართებით?***

– დიახ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რაც მანამდე ეწერა კონტრაქტებში, ეს არის ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი, ანუ კურსის ცვლილებას შეიძლება მოჰყოლოდა სესხის განრიგის განაკვეთის ცვლილება, პროცენტს რასაც ეძახიან ხოლმე. ამიტომ ლარში სესხის აღება ყოველთვის რისკიანი იყო, იმიტომ რომ არასოდეს ზუსტად არ იცი, როგორი იქნება გადაწყვეტილება და, შესაბამისად, შესაძლებელია, ბევრად მეტის გადახდა მოგიწიოს, ვიდრე მანამდე ფიქრობდი, რომ უნდა გადაგეხადა.

***– ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პუნქტი ლარის კურსის შესახებ?***

– დღეს, ლოგიკურად, არცერთი ბანკი არ გასცემს ისე სესხს, რომ ხელშეკრულებაში არ გაითვალისწინოს ლარის კურსის ცვალებადობა. მაშინ მსესხებლისთვის რა იცვლება, თუ ისედაც ლარის კურსზეა მიბმული სესხის გასტუმრება? ამიტომ დოლარიდან ლარში გადატანა, შესაძლოა, დამატებითი დანახარჯები აღმოჩნდეს. ძალიან ბუნდოვანია, თუ რა შეიძლება იყოს ყოველივე ამის შედეგი.

***– თუკი რეალურად არაფერი შეიცვლებოდა, მაშინ რატომ წარადგინეს დიდი ზარ-ზეიმით ლარიზაციის გეგმა?***

– მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს დიდი სისულელეა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა. ეს იყო სრული სისულელე და წინდაუხედაობა. ჩემი აზრით, აქ მოქალაქეების მხარდაჭერა არც არავის უფიქრია.

***– აბა, რისკენ იყო მიმართული ყოველივე ეს?***

– ეს იყო ბანკების მხარდაჭერის პროგრამა! ეს დახმარება ბანკებს გაუწიეს და არა კერძო პირებს, მსესხებლებს! ეს არის სუბსიდია ბანკებისთვის, რომლებიც ხელაღებით გასცემდნენ სესხებს, ყოველგვარი რეალური ანალიზის გარეშე. მე მინახავს ბანკის ხელმძღვანელები, რომლებიც შარშანდელ წელზე ამბობდნენ, რომ 8%-იან ზრდას ელოდებიან და იყვნენ აღფრთოვანებულები მთავრობის პოლიტიკით. ასეთი დამოკიდებულების მქონე ადამიანებისგან რა გვიკვირს?!

***– 17 იანვარს დაიწყო ლარიზაციის გეგმის განხორციელება და მათი რიცხვი, ვინც სესხი ლარიდან დოლარში გადაიტანა, 400 ადამიანსაც არ აღემატება. ძალიან ფრთხილობს მოსახლეობა?***

– რასაკვირველია, ამას ბევრი არ გარისკავს, მით უმეტეს, როცა გაეცნობოდნენ პირობებს, შეაფასებდნენ, რომ ეს მათთვის ჭკვიანური გამოსავალი არ არის. მე ეს პროცესი ნამდვილად არ მიკვირს. ვისაც უკვირს, მაშინ მან განგვიმარტოს, რას ელოდებოდნენ და საერთოდ რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილებები! როდესაც რაღაცას სთავაზობ მოსახლეობას, პროგნოზებს აკეთებ და ის არ ამართლებს, მაშინ ამაზე პასუხიც უნდა აგო!

***– ანუ საუბარი და მოლოდინი იმისა, რომ ეს პროცესი ლარს გაამყარებს და სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება არ გამართლდა?***

– ლარის გამყარება არანაირად არ არის დაკავშირებული ლარიზაციის გეგმასთან!

***– ბოლო დღეებია, ლარი შედარებით გამყარდა დოლართან მიმართებით. ეს რის ხარჯზე მოხდა?***

– დიახ, ამ დღეებში ლარის გამყარება ხდება და ეს დაკავშირებულია ერთადერთ მიზეზთან, რომ ლარის მასა მიმოქცევაში ოდნავ შემცირდა. აი, ეს არის შედეგი იმისა, რატომაც ხდება ეს ყველაფერი. არანაირი გალარება ამასთან კავშირში არ არის, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ასეთ სულელურ გადაწყვეტილებას იღებენ, უნდა ჩამოშორდნენ ხელისუფლებას. ეს ადამიანები ჩვენ მიერ არიან დაქირავებული. არაკომპეტენტურ ადამიანებს კი ფული არ უნდა ვუხადოთ! არ უნდა ვუხადოთ ცუდი გეგმებისთვის, ცუდი შემოთავაზებებისთვის, ეკონომიკური ვარდნისთვის, რომელიც გვაქვს.

# ექსპერტები ორნიშნა ინფლაციაზე საუბრობენ




საქართველოში სამომხმარებლო ფასები აშკარად გაიზარდა, რასაც ოფიციალური სტრუქტურებიც არ მალავენ: სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წლის იანვარში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 2.9% შეადგინა, ხოლო გასული წლის იანვრის თვესთან შედარებით სამომხმარებლო ფასების ინდექსი 3.9%-ით გაიზარდა.

„საქსტატის“ ცნობით, ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 4,2%-ით; ბოსტნეული და ბაღჩეული (22,4%), ფასები მომატებულია ხილისა და ყურძნის (8,9%), რძის, ყველისა და კვერცხის (3,1%), ზეთისა და ცხიმის (3,1%), თევზეულის (2,8%), ხორცისა და ხორცპროდუქტების (2,5%) ქვეჯგუფებზე.

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 7,2%-ით და ამ ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,94 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (10,1%) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზეც (4,9%).

სპეციალისტების შეფასებით, ინფლაციის რეალურ და ოფიციალურ მონაცემებს შორის სხვაობა აშკარაა და, თუ ასე გაგრძელდა, წელს შეიძლება ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელიც მივიღოთ.

ამის თაობაზე „ბიზნესპრესნიუსს“ ეკონომიკის ექსპერტი სოსო არჩვაძე ესაუბრა.

– ინფლაციის ზრდას რამდენიმე მიზეზი აქვს: ჯერ ერთი ის, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი დიდწილად იმპორტულ საქონელზეა დამოკიდებული. ლარის კურსის დაცემის გამო პროდუქციის იმპორტი გაძვირდა, ის რეზერვები, რაც გვქონდა, ამოწურულია და ქართულ ბაზარზე უკვე გაძვირებული პროდუქცია იყიდება, – განაცხადა სოსო არჩვაძემ.

მისი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მომატებული აქციზის განაკვეთები ნავთობპროდუქტებზე, სიგარეტზე, ავტომობილებზე, მოსაკრებლები სათამაშო ბიზნესის ზოგიერთ სახეობაზე და ეს სერიოზულ გავლენას ახდენს ფასების საერთო დონეზე.

– სახეზე გვაქვს რამდენიმე ნეგატიური ფაქტორის თანხვედრა და იმის იმედი, რომ ინფლაციის 4%-იანი მაჩვენებელი შენარჩუნდება, არ უნდა გვქონდეს. უფრო მეტიც, საკმაოდ მაღალია ალბათობა იმისა, რომ ინფლაცია ორნიშნა ზღვრულ მაჩვენებელს მიუახლოვდეს ან გადალახოს კიდეც. საქართველოში ინფლაცია შეიძლება იყოს 7-8 პროცენტი ან უფრო მეტიც, – აღნიშნავს სოსო არჩვაძე.

მისი თქმით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად გაძვირდება ნავთობი. თუკი საწვავზე ფასები გაიზრდება, ამან შეიძლება დომინოს პრინციპით იმოქმედოს და ყველა მნიშვნელოვანი პროდუქტის ფასზე მოახდინოს გავლენა. თუმცა, ჩვენ უნდა შევეგუოთ ცხოვრებას ფასების მატების პირობებში, ოღონდ ჩვენი შემოსავლები ფასების პარალელურად უნდა გაიზარდოს, მაშინ ეს პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის.

– ინფლაცია მთელი მსოფლიოსთვის დამახასიათებელი მოვლენაა. მაგალითად: ბოლო საუკუნის განმავლობაში დოლარი 19-ჯერ გაუფასურდა, ანუ დღეს 19 დოლარი გვჭირდება იმ საქონლის შესაძენად, რაც 1917 წელს 1 დოლარი ღირდა. ვგულისხმობ იმ პროდუქციას, რომელიც მაშინაც იყო ხმარებაში და დღესაც არის, -– ამბობს სოსო არჩვაძე.

* * *

ამ საკითხის შეფასება ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელ ირაკლი მაკალათიასაც ვთხოვეთ. მისი თქმით, ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელს არც მთავრობა დაუშვებს და არც ეროვნული ბანკი, რადგან ისეთი ღონისძიებები ტარდება, რომლებიც ორნიშნა ინფლაციას გამორიცხავს.

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფასების ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, ინფლაციის ასეთი მაღალი დონე მაინც არ გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ ლარიზაციაც ხელს უწყობს ფასების ზრდას: კომპანიები, რომლებიც თავიანთ პროდუქციას დოლარში ყიდულობენ და ლარში ყიდიან, იძულებული ხდებიან ეს პროდუქცია გააძვირონ.

ანალოგიურ მდგომარეობაში არიან იმპორტიორები, რომლებიც დოლარში ყიდულობენ პროდუქციას, ჩამოაქვთ და აქ ლარში ყიდიან, თანაც, იძულებული არიან, სესხიც ლარში გამოიტანონ. მათ ძალიან უძვირდებათ პროდუქცია. ასე რომ, ლარიზაცია მომავალში აუცილებლად გამოიწვევს სამომხმარებლო ფასების ზრდას.

მიუხედავად ყველაფრისა, ინფლაციის მაჩვენებელი 4-5%-ის ფარგლებში მაინც შენარჩუნდება, იმის მიუხედავად, რომ უახლოეს თვეებში ფასების ზრდა მოსალოდნელია, – აცხადებს ირაკლი მაკალათია.

* * *

ბიზნესპრესნიუსი საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე პაატა კვიჟინაძეს დაუკავშირდა.

ბატონი პაატა მიიჩნევს, რომ შეშფოთების საფუძველი არ არსებობს.

– თავიდანვე ცნობილი იყო, რომ აქციზის გაზრდა რაღაც ნაწილში ინფლაციას გამოიწვევდა, მაგრამ ჩვენ კანონში ჩადებული გვაქვს 4%-იანი ინფლაცია, რაც სავსებით ნორმალურია და მიგვაჩნია, რომ ეს ნიშნული შენარჩუნდება.

შეიძლება რაღაც განსხვავება იყოს, მაგრამ როგორც კანონშია მითითებული, საშუალო წლიური მაჩვენებელი 4%-ის ფარგლებში იქნება. ამჟამად ინფლაცია 3,9 %-ია ანუ ცოტა უფრო ნაკლებიც, – აღნიშნავს პაატა კვიჟინაძე.

დეპუტატის თქმით, ახლო მომავალში ლარის გაუფასურება შეჩერდება, რაც ინფლაციურ პროცესებსაც შეაჩერებს.

– ჩვენ მივიღეთ ზომები, რომ ლარის გაუფასურება აღარ გაგრძელდეს და ასეც იქნება, თუ რაღაც სასწაული არ მოხდება ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. ასე რომ, ჩვენს ქვეყანაში დაგეგმილზე მაღალ ინფლაციას არ ველოდებით, – აცხადებს პაატა კვიჟინაძე.

**ბიპიენი, ხათუნა ჩიგოგიძე**



## „აზოტიდან გათავისუფლებული ადამიანები ბანკის კრედიტების მსხვერპლნი არიან“

„საქართველოს ბანკის“ ფილიალის წინ, ვარდების მოედანზე, გაიმართა აქცია „სოლიდარობა მუშებს“. მისი მონაწილეები სოლიდარობას უცხადებდნენ რუსთავის აზოტის ქარხნიდან გათავისუფლებულ 350 ადამიანს. აქციის ერთ-ერთი მონაწილე, გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე, ირაკლი პეტრიაშვილი „აიპრესთან“ საუბრისას აცხადებს, რომ „საქართველოს ბანკმა“ გაათავისუფლა 350 თანამშრომელი რუსთავის აზოტის ქარხნიდან, რომელთაც აღარ ძალუძთ ამავე ბანკიდან აღებული კრედიტების გადახდა.

– „საქართველოს ბანკი“ არის აზოტის ქარხნის მფლობელი ისევე, როგორც ნახევარი საქართველოს მფლობელი იმიტომ, რომ „საქართველოს ბანკმა“ გაათავისუფლა ჩვენი დები და ძმები სამსახურიდან, რომელთაც აღარ ძალუძთ, მოემსახურონ კრედიტებს, რომლებიც ამავე ბანკში აქვთ აღებული. წინა დღეს ცნობები მისცეს, რომ ამ საწარმოს მუშები არიან, მეორე დღეს გამოატანეს კრედიტები და შემდეგ დაახვედრეს გათავისუფლების ცნობები. საბოლოო ჯამში, ეს ფაქტი არის კრედიტების ტყვეები და მსხვერპლი, რასაც „საქართველოს ბანკი“ ადგენს. ჩვენ ვაპროტესტებთ ბანკების დიქტატურას, მათ სიხარბეს, რომლებმაც შეჭამეს ჩვენი დები და ძმები. ბრძოლა არ დამთავრებულა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. კვლავ შევიკრიბებით აქ რამდენიმე დღეში და მოვაწყობთ მსვლელობას კანცელარიამდე, – განაცხადა პეტრიაშვილმა.

## შეგიჩერდებათ თმის ცვენა და გაცვენილ ადგილებზე ამოგივათ თმა

### ფუტკრის პროდუქტებზე დამზადებული ნაზავი, რომელსაც თმა ამოჰყავს!



თმის ცვენა კაცობრიობას პრობლემად ექცა სხვადასხვა მიზეზების გამო. ახლა მისი შეჩერება და გაცვენილ ადგილებზე თმის ამოსვლა პრობლემა აღარაა! 7 წელია თამარ ასლამაზაშვილი აკეთებს ფუტკრის პროდუქტებზე მალამოს, რომელიც ამ პრობლემას აგვარებს. მალამო სრულიად ნატურალურ პროდუქტზეა დამზადებული.

**თამარ ასლამაზაშვილი:**

– 7 წელია ჩემი საგვარეულო მალამოთი ვმკურნალობ ხალხს თმის ცვენაზე და უკმაყოფილო არცერთი პაციენტი არ არის, გამომდინარე იქიდან, რომ მე მათ ტყუილად არ ვატარებ პროცედურებზე, შედეგს პირველივე პროცედურაზე ვგრძნობ და ვეუბნები, ღირს თუ არა მკურნალობის გაგრძელება. შედეგი გამოიხატება პროცედურის შემდგომ მეორე მოსვლაზე, თმის ძირი უნდა იყოს გაძლიერებული და უნდა ცვიოდეს მაქსიმუმ 5 ღერი თმა.

***– რას გულისხმობს თქვენი პროცედურები?***

– პაციენტს ესმევა მალამო მთლიან თავზე თმის ძირებში და შემდეგ ულტრაწითელი სხივების საშუალებით შედის ეს მალამო თმის ბოლქვებამდე. ამის შემდეგ კეთდება სპა პროცედურა.

***– როგორი შედეგები გაქვთ?***

– საკუთარი თავის ქება ზოგადად ცუდი ტონია, მაგრამ ყველა სკეპტიკოსს შეუძლია მოვიდეს სპორტკომპლექს არენა 1-ში, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩაზე, პირველ სართულზე და ნახავს, აქ რამდენი კმაყოფილი პაციენტია.

***– დაბოლოს, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, დიდი დაინტერესების გამო თქვენთან მოხვედრა ცოტა ძნელია. როგორ უნდა მოიქცნენ პაციენტები, რომლებსაც თქვენთან მკურნალობა სურთ?***

– დარეკავენ ჩემს პირად ნომერზე: 551 59 99 89, ჩაეწერებიან კონსულტაციაზე და სურვილისამებრ დაიწყებენ მკურნალობას.

**ნანა გამრეკლიძე:**

– მე ინტერნეტის მეშვეობით შევიტყვე ამ შესანიშნავი მალამოს შესახებ. თავიდან ცოტა არასერიოზულად აღვიქვამდი, როგორ ამომივა თმა-მეთქი, მაგრამ შედეგი არ აყოვნებს. აქ იმდენი კმაყოფილი პაციენტია, გაოცდებით, მათ შორის მეც. შემიწყდა მომენტალურად ცვენა და ამომივიდა თმა გაცვენილ ადგილებზე.

**PS: ვისაც სურს ქალბატონ თამართან ვიზიტი, აუცილებლად უნდა ჩაეწეროს მიღებაზე 2 დღით ადრე ტელეფონის ნომერზე: 551 59 99 89.**

**მისამართი: სპორტკომპლექს არენა 1-ის პირველი სართული, სილამაზის სალონი „არენა“. ვაკე-საბურთალოს გზაზე, უნივერსიტეტის ქუჩა.**

# პროკურატურა: მოსამართლეებს საყვარელიძე უმაღლეს კარიერას დაჰპირდა

მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებული მასალების მიხედვით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ბესარიონ ალავიძესა და პაატა ქათამაძეს წერილობითი შეტყობინებების ავტორი „ხელშეუხებლობასა“ და „უმაღლეს თანამდებობრივ კარიერას“ დაჰპირდა.

— თქვენ ხელშეუხებელი გმირები გახდებით და მომავლის უმაღლესი თანამდებობრივი კარიერაც გარანტირებული გექნებათ, — ნათქვამია წერილში, რომელიც, უწყების ინფორმაციით, აღნიშნულმა მოსამართლეებმა დ. საყვარელიძის სახელით მიიღეს.

წერილში, რომელიც მოსამართლის საქმიანობაში უხეშად ჩარევის საქმეზე დაწყებული გამოძიებისთვის ერთ-ერთი მტკიცებულებაა, ასევე აღნიშნულია, რომ მოსამართლეებმა „ღიად უნდა ისაუბრონ ზეწოლასა და წნეხზე, რომელიც მათ მიმართ ხორციელდება“.

— გვარამიასგან ვიცით, რომ შენ და პაატა ქათამაძე ხართ ჩვენი დასაყრდენი. ასევე ისიც ვიცით, რა სირთულეებიც არის, თუმცა ცოტაც და ამათი პარპაში დამთავრდება. მაგათი საქმე წასულია. თქვენც აუცილებლად დაგიფასდებათ ყველაფერი. იურიდიული მიმართულების სათავეებთან დადგებით ჩვენი დაბრუნებისთანავე და ეს პოზიცია გადახედვას არ ექვემდებარება. ახლა ვხვდები, რომ თქვენნაირ სანდო ხალხზე უნდა მდგარიყო სასამართლო.

ახლა კი მთავარი: მიშა აფასებს თქვენს ასეთ ერთგულებას და ვფიქრობ, რომ უკვე საჭიროა შიგნიდან ამ თემის „ხელოვნურად გახეთქვა“ და მასთან შეთანხმებით მინდა გთხოვოთ შემდეგი: ეცადეთ ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო საკითხი გაასკანდალოთ. არ აქვს მნიშვნელობა, დამაჯერებელი იქნება თუ არა. ნამდვილად ჯობია, გამოხვიდეთ საჯაროდ და ღიად თქვათ, რომ წარმოუდგენელი წნეხის ქვეშ გიწევთ მუშაობა, გემუქრებიან, გატერორებენ, გითვალთვალებენ და რაც გინდათ, ის თქვით. თქვენ უკეთესად მოიფიქრებთ.

დანარჩენი უკვე ნიკამ იცის, ისეთ შავ პიარს ააგორებს, რომ საბოლოოდ განადგურდება ეგ საქმე. თქვენ ხელშეუხებელი გმირები გახდებით და მომავლის უმაღლესი თანამდებობრივი კარიერაც გარანტირებული გექნებათ. რაც მთავარია, უცხოელებიც ნახავენ — აი, რა ხდება თურმე მართლა და დანარჩენები საბოლოოდ ჩაირეცხებიან.

სწორედ ეს სჭირდება ამ სიტუაციას. სხვა ყველაფერი უკვე ტექნიკის საქმეა. თქვენთვისაც გაადვილდება საქმე და საბოლოოდ დავანგრევთ მაგათ. მიხარია, რომ თქვენნაირი ხალხი გვეგულება და გვეყოლება საქართველოში.

ეს ნათქვამია წერილში, რომელიც, პროკურატურის მტკიცებით, დ. საყვარელიძის სახელით მოსამართლეებმა ერთდროულად მიიღეს.

რაც შეეხება სატელეფონო შეტყობინებას, გამოძიების ინფორმაციით, მოსამართლეებმა შეტყობინებები უკრაინული ნომრიდან მიიღეს.

— წერილს, ალბათ, მიიღებდი. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი აქტიურობით ვითარება დალაგდება. გაჭიანურება არ ივარგებს, — ნათქვამია სატელეფონო შეტყობინებაში, რომელიც პროკურატურამ გაავრცელა.

პროკურატურა ამ ეტაპზე არ აკონკრეტებს, დ. საყვარელიძე არის თუ არა მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე დავით საყვარელიძე, რომელიც ამჟამად უკრაინაში ცხოვრობს.



# საქართველოსა და შვედეთს შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შეთანხმება გაფორმდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით შვედეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრი ანდერს იგემანი და შვედეთის სამეფოს ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვივნენ.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, საქართველოსა და შვედეთის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, რომლის საფუძველზეც საპოლიციო სფეროში საქართველოსა და შვედეთის სამეფოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაძლიერდება.



საქართველოს შს მინისტრმა შვედეთის სამეფოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს ევროინტეგრაციისა და ვიზალიბერალიზაციის პროცესში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა.

როგორც გიორგი მღებრიშვილმა აღნიშნა, ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შვედეთის სამეფოს სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის წარმატებული საპოლიციო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა შვედეთის სამეფოში საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშეს ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც შვედეთის ეროვნულ პოლიციასთან პირდაპირ, სწრაფ და ეფექტურ თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

გიორგი მღებრიშვილის თქმით, პარტნიორ ქვეყნებში საქართველოს შსს-ს პოლიციის ატაშეების დანიშვნამ პოზიტიური შედეგები მოიტანა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში საპოლიციო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. საქართველოს შს მინისტრმა ასევე ისაუბრა ევროპოლის ფარგლებში სამომავლო თანამშრომლობის განვითარებაზე.

— ევროპოლის ფარგლებში ჩვენი სამომავლო თანამშრომლობა დაეფუძნება საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომლის პროექტი ევროპის პარლამენტმა სულ ცოტა ხნის წინ, პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველო ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა გახდება, — აღნიშნა გიორგი მღებრიშვილმა.

# საგარეო უწყება თურქეთში პროსტიტუციის ბრალდებით ქართველების დაკავებას ადასტურებს

თურქეთში პროსტიტუციის ბრალდებით დაკავებული 7 ქვეყნის მოქალაქიდან 4 საქართველოს მოქალაქეა.

ამის შესახებ „კვირას“ საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

უწყების ინფორმაციით, ამ ეტაპზე სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები თურქ სამართალდამცველებთან მუდმივ კონტაქტზე იმყოფებიან და დაკავებული 4 ქალბატონის ვინაობას აზუსტებენ.

სამინისტროს ინფორმაციითვე, თურქ სამართალდამცავებთან მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად დადგინდება, ლეგალურად იმყოფებოდნენ საქართველოს მოქალაქეები თურქეთის ტერიტორიაზე ან ხომ არ არიან ისინი ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

თურქულმა პოლიციამ პროსტიტუციის ბრალდებით 84 მსუბუქი ყოფაქცევის ქალი დააკავა. საქართველოს მოქალაქეების გარდა, არიან ასევე აზერბაიჯანის, მოლდავეთის, უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, მაროკოს მოქალაქეები.

თურქმა სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია მარმარილოს ზღვის სანაპიროზე, ქალაქ სილივრის სასტუმროებსა და გასართობ ცენტრებში ჩაატარეს.

დაკავებისთანავე, ქალებს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ. უმრავლესობას ცე ჰეპატიტი, შიდსის ვირუსი, სიფილისი და სხვა ვენერული დაავადებები აღმოაჩნდა.



# ზუგდიდში ლიანდაგებთან 35 წლამდე ქალის ცხედარი იპოვეს

ზუგდიდში, რკინიგზის ლიანდაგის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს.

როგორც ნიუპოსტს თვითმხილველები უყვებიან, 35 წლამდე ქალი წელს ქვევით შიშველია, ამიტომ არსებობს ვარაუდი, რომ ქალზე ძალა იხმარეს.

ცხედრის პოვნის ფაქტი ნიუპოსტს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.



როგორც უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განგვიცხადეს, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც პირის თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

**ნიუპოსტი**

# თელავში დაკარგული მამაკაცი 13-დღიანი ძებნის შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს

თელავში დაკარგული 57 წლის მამაკაცი 13-დღიანი ძებნის შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც გარდაცვლილის მეზობლები აცხადებენ, დავით ხოკერაშვილის კვალს თელავის ჯვარპატიოსნის სახელობის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე მიაგნეს. ცხედრის პოვნამდე იპოვეს ის ღორიც, რომლის საძებნელადაც დავით ხოკერაშვილი ტყეში წავიდა.

— დათო გარდაცვლილი ნახეს ტურბაზის ტყეში, საიდანაც გზა ჯვარპატიოსნის ტაძრისკენ მიდის. თავის ქვეშ საკუთარი სამხედრო ქურთუკი ჰქონდა ამოდებული, — განაცხადა გარდაცვლილის ძმამ ვეფხო ხოკერაშვილმა.

დავით ხოკერაშვილი ქალაქ თელავში ცხოვრობდა. ის 25 იანვარს დაკარგული ღორის საძებნელად სახლიდან ცივის მთის მიმართულებით წავიდა და მას შემდეგ მისი კვალი გაუჩინარდა.

სამძებრო სამუშაოებში ჩართული იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, პოლიცია და მონადირეთა 15-კაციანი ჯგუფი.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ქუთაისში 50 წლამდე მამაკაცი დაიხრჩო

ქუთაისში, აბაშიძის ქუჩაზე, 50 წლამდე მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

გარდაცვლილი მდინარე ოღასკურას არხში ადგილობრივებმა გუშინ დილით შეამჩნიეს.

თვითმხილველებისთვის გარდაცვლილის ვინაობა უცნობია.

გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გარდაცვლილი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ამოიყვანეს წყლიდან. პირველადი დათვალიერებით, გარდაცვლილს სხეულზე დაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა.

# გრიგორი კარასინი: „ქართველ სამხედროებზე ნადირობა არ ხდება“

— გია ცერცვაძის საქმეს ვიცნობ, საქმე კრიმინალურ დანაშაულს ეხება, რომელიც მან რუსეთის ტერიტორიაზე 2003 წელს ჩაიდინა.

ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა ქართველ ჟურნალისტებს პრაღაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრამდე განუცხადა.

— ჩვენ უსაფუძვლოდ ინტერპოლში მოთხოვნას არ ვაგზავნით. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ არგუმენტებს გავცვლით, რადგან ეს ჰუმანიტარული საკითხია. ყველა თემა, როგორიცაა ბრალდებები, ძებნა და ა.შ. ანუ, რომელიც ადამიანებს ეხება, ჰუმანიტარულ სფეროს მიეკუთვნება.

ჩვენ გაგვაჩნია წყაროები და ვფლობთ ინფორმაციას. რაც შეეხება ნადირობას ქართველ სამხედროებზე, ასეთი რამ არ ხდება. ჩვენ გამოძიებას ვაწარმოებთ კრიმინალურ საქმეებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, რუსეთის ან საქართველოს ტერიტორიაზეა ჩადენილი. მაგალითისთვის, საქართველოში იმყოფება პიროვნება ლაკაევი, რომელიც აფხაზეთში რუსი დიპლომატის და მისი მეუღლის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. ის ახლა პატიმრობაშია და სასჯელს იხდის, მაგრამ მის საქმეზეც ვილაპარაკებთ, — განაცხადა გრიგორი კარასინმა.

ზურაბ აბაშიძემ განმარტა, რომ ამ საკითხისთვის არ მომზადებულა.

— ეს არ არის ჩვენი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი. თუ მან დაიწყო, მოვუსმენ, რას გვეტყვიან. ჩვენი პრინციპია, რომ ჩვენს მოქალაქეებს სხვა სახელმწიფოებს არ გადავცემთ. თუ დეტალურად და არსებითად უნდათ ამ საკითხის განხილვა, ამისთვის შესაბამისი უწყებები არსებობენ, — განაცხადა აბაშიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი: „მე არ ვიცნობ პუტინს, რუსეთში საქმეები არ მაქვს“




აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკულ პრესას ბრალად დასდო მისი ადმინისტრაციისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება.

— მე არ ვიცნობ პუტინს, რუსეთში საქმეები არ მაქვს, ხოლო ვინც ვერ მიტანს, ჭკუიდან გადადიან, — დაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა ტვიტერის პირად გვერდზე.

მისი თქმით, ყოფილ პრეზიდენტ ბარაქ ობამას „შეეძლო, შეთანხმება დაედო ირანთან — უპირველეს ტერორისტულ სახელმწიფოსთან — და არც არაფერი!“.

# ნიკოლა სარკოზი სასამართლოს წინაშე წარდგება



საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სასამართლოს წინაშე წარდგება, მას ბრალად ედება 2012 წლის საპრეზიდენტო კამპანიის არაკანონიერად დაფინანსება.

გამოძიება ეჭვობს, რომ სარკოზის პარტიამ („კავშირი სახალხო მოძრაობისთვის“, ახლანდელი „რესპუბლიკელები“) გააყალბა დოკუმენტები, რათა დაემალათ დასაშვები ხარჯების გადამეტება 18 მილიონი ევროს ოდენობით.

ნიკოლა სარკოზის არაერთხელ განუცხადებია, რომ არ იცოდა ლიმიტის გადამეტებაზე, რომელიც იმ დროს დადგენილი იყო 22.5 მილიონი ევროს ნიშნულზე.

გარდა ნიკოლა სარკოზისა, ანგარიშგების ფალსიფიცირებაში ეჭვმიტანილია კიდევ 13 ადამიანი, მათ შორის „კავშირი სახალხო მოძრაობისთვის“ (ახლანდელი „რესპუბლიკელები“) ფუნქციონერები.

გამოძიება აღნიშნულ საქმეზე, რომელიც ცნობილია, როგორც „ბიგმალიონის“ საქმე, 2014 წელს დაიწყო.

გამოძიების ვერსიით, დოკუმენტებთან მაქინაციები განხორციელდა სარეკლამო ფირმა „ბიგმალიონის“ მეშვეობით.

# ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერი ტრამპის წინააღმდეგ



ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერმა ჯონ ბერკოვმა განაცხადა, რომ ტრამპის ინგლისის პარლამენტში გამოსვლის კატეგორიული წინააღმდეგია:

— რასიზმი თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში მიუღებელია, — თქვა მან.

# ლინკიავიჩუსი: „რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები უნდა შენარჩუნდეს“



ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინკიავიჩუსმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება დაუშვებელია.

— ესკალაცია დონბასში რუსეთის გამო მოხდა! ჩვენი პოზიცია კატეგორიულია: სანქციები უნდა შენარჩუნდეს, მეტიც, დროა, მათ გაფართოებაზე ვიფიქროთ, — განაცხადა ლინკიავიჩუსმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ავსტრალიელმა გოგონამ 54 კილოგრამი დაიკლო



ავსტრალიის ვიქტორიას შტატის მცხოვრებმა გოგონამ წონაში 54 კილოგრამი მას შემდეგ დაიკლო, როდესაც თვითმფრინავის სავარძელში ჩაჯდომა ვერ შეძლო.

ტალიტა როჯერსი ზედმეტი წონისგან 12 წლის ასაკიდან იტანჯებოდა, როდესაც მას ნაწლავების გაღიზიანების სინდრომი დაუდგინეს. გოგონას თქმით, ის საკუთარი თავის მიმართ ზიზღის გამო ჭამაზე უარს ვერ ამბობდა.

2016 წლის იანვარში როჯერსი 130 კილოგრამს იწონიდა. გოგონა უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა, როდესაც ევროპაში მიფრინავდა, და ამის შემდეგ გადაწყვიტა, რომ სიმსუქნისთვის ბრძოლა გამოეცხადებინა.

— მე მივხვდი, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება, — განაცხადა როჯერსმა.

გოგონა დიეტაზე დაჯდა და სავარჯიშო დარბაზშიც დაიწყო სიარული. ის ყოველდღიურად თვალს ადევნებდა საკუთარ კვებას და თანდათან აქტიური ცხოვრების წესზე გადავიდა. ახლა უკვე, 24 წლის გოგონა საკუთარ გაკვეთილებს უტარებს იმ ადამიანებს, რომლებსაც ზედმეტი წონისგან განთავისუფლება სურთ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ტეხასური ოჯახი ჩხრიალა გველებისგან გაათავისუფლეს



ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ აბილინში მდებარე ერთ-ერთ სახლში 24 ჩხრიალა გველი იქნა აღმოჩენილი.

ერთ-ერთი მათგანი სახლში მცხოვრებმა ბავშვმა შენიშნა. ბიჭმა ტუალეტში უცნაური გორგალი შენიშნა და მიხვდა, რომ ის გველი იყო და მაშინვე მშობლებს აცნობა. ბავშვის დედამ, მეორე შვილი ნიჩბის მოსატანად გაგზავნა.

— როგორც კი ის დაბრუნდა, გველიც გამოძვრა, — განაცხადა ქალმა, — აღმოჩნდა, რომ ის ჩხრიალა გველი იყო.

ქალმა ქვეწარმავალი ნიჩბით მოკლა, ხოლო მისმა მეუღლემ დარეკა კომპანიაში, რომელიც საცხოვრებელ ბინებში გველებთან ბრძოლითაა დაკავებული.

— როდესაც ადგილზე მივედი, სახლში მაშინვე შევნიშნე რამდენიმე პრობლემური ადგილი, — განაცხადა ფეისბუქში კომპანიის სპეციალისტმა. ის ქარიშხლისგან თავდასაცავ ნაგებობაში ჩავიდა და იქ 13 მოზრდილი ჩხრიალა გველი აღმოაჩინა. შემდეგ მან სახლის ქვეშაც შეიხედა და კიდევ 10 ქვეწარმავალი აღმოაჩინა.

— სულ 24 გველი ცხოვრობდა სახლში და ოჯახმა ეს არც კი იცოდა, — განაცხადა კომპანიის სპეციალისტმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ბულგარეთში ინვალიდ კატას ტიტანის პროთეზი გაუკეთეს



ბულგარეთში უპატრონო კატას, სახელად პუხს, ტიტანისგან დამზადებული ბიონური პროთეზები ჩაუდგეს.

კატამ უკანა თათები უბედური შემთხვევის შედეგად დაკარგა. ქირურგმა ვლადისლავ ზლატინოვმა გადაწყვიტა ცხოველს დახმარებოდა. მან გაარკვია, რომ ბრიტანელ ვეტერინარებს უკვე ჰქონდათ ჩატარებული მსგავსი ოპერაცია და მათ გამოცდილებას სამეცნიერო ჟურნალების დახმარებით გაეცნო.

ვეტერინარმა ინვალიდ კატას ტიტანის იმპლატანტები ჩაუნერგა, რომლებიც საგანგებო შეკვეთით იქნა დამზადებული. მუხლის მიდამოში, მათ მიუერთეს პროთეზები, რომლების შეცვლა შესაძლებელი იქნება და რომლებიც თათების ქვედა ნაწილს ცვლის.

ექვსკვირიანი აღდგენითი პერიოდის შემდეგ ცხოველს ბიონური კიდურების გამოცდის საშუალება მისცეს. ზლატინოვი ამტკიცებს, რომ ცხოველი თანდათან ეჩვევა მათ და თავადვე ზრუნავს მათ სისუფთავეზე. ბულგარელმა კიდევ სამ კატას გაუკეთა მსგავსი ოპერაცია, რომლებიც თათების გარეშე დარჩნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ლუის ენრიკეს გაურკვეველი მომავალი



ლუის ენრიკეს მომავალი ბარსელონაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ესპანელი სპეციალისტის საბოლოო გადაწყვეტილება მიმდინარე სეზონის ბოლოს გახდება ცნობილი. ევროპული მედია მიიჩნევს, რომ ასტურიელის „ბლაუგრანიდან“ წასვლა გარდაუვალია და ამის დამამტკიცებელ ნიშნებს განიხილავს.

გასული წლის აგვისტოს შემდეგ, ენრიკემ პრესკონფერენციებზე მესი მრავალჯერ მოიხსენია საქებარი სიტყვებით. ეს პატივი წილად ხვდათ ანდრეს ინიესტასა და ლუის სუარესსაც.

ლეოს შესახებ ენრიკე უმეტესად აღმატებით ხარისხში საუბრობს: ის ყველა დროის საუკეთესოა; მესი სრულყოფილი ფეხბურთელია; არგენტინელი მომენტალურად აღწევს ფორმის პიკს.

ამის შემდეგ რთულია იმის დაჯერება, რომ ადრე ყველაფერი სხვანაირად იყო. ლუის ენრიკე გულუბრყვილოდ ცდილობდა ახალი, მეტად შემტევი, აგრესიული და ლეოზე ნაკლებად დამოკიდებული ბარსელონის შექმნას. 2014 წლის ოქტომბერში მან დემონსტრაციულად განაცხადა, რომ მესის რეკორდები არ ანაღვლებს, რის შემდეგ არგენტინელსა და ასტურიელს შორის ღია კონფლიქტი მოხდა. ენრიკე არჩევანის წინაშე დადგა: ან წესებს დაემორჩილება და ადგილობრივ სიწმინდეს, პატივს მიაგებს, ან მიდის...

ლუჩომ პირველი სცენარი აირჩია და მომთმენი ადმინისტრატორის როლი მოირგო. მას შემდეგ „ბლაუგრანას“ მწვრთნელი ხმაურიან განცხადებებს აღარ აკეთებს, სკანდალს გვერდს უვლის და იქცევა ისე, თითქოს მისი მიზანი ლეოსთვის კომფორტული გარემოს შექმნაა და არა გამარჯვება.

– ბედნიერი ვიქნები, თუ მესი კარიერას ბარსელონაში დაასრულებს, – განაცხადა ენრიკემ 2016 წლის ნოემბერში, როცა არგენტინელის მოსალოდნელი წასვლის შესახებ პრესაში ინფორმაცია გაჟღერდა.

მარტივია იმის გააზრება, რომ ენრიკე კატალონიური პრობლემებით ძალიან დაიღალა. სუარესის დისკვალიფიკაცია, მესისა და მასკერანოს სასჯელი, სატრანსფერო ბანი, ნეიმარის საქმე, პიკეს რეგულარული ისტერიკა და ახლა უკვე ლეოს კონტრაქტი. ამ ისტორიებმა ლუისს ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენეს.

რადიო მარკას მიხედვით, ლუისი სეზონის ბოლოს აპირებს წასვლას, რადგან დაიღალა და მოთამაშეების მხარდაჭერას აღარ გრძნობს. ფორმალურად, მოლაპარაკება კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით აპრილში დაიწყება, მაგრამ ცოტაა იმის შანსი, რომ პროცესი წარმატებით ჩაივლის.

ბარსელონამ ამ დროისთვის, შესაძლოა, ლა ლიგის მოგების შანსი საბოლოოდ დაკარგოს, ჩემპიონთა ლიგის ფინალი კი ივნისში ჩატარდება. კატალონიელებმა ლუისის შემცვლელი უნდა მოძებნონ, რადგან, თუ ქვემოთ დაწერილ ტექსტს წავიკითხავთ, მივხვდებით, რომ ენრიკეს წასვლის 5 მიზეზი აქვს.

1. ლუისს არსებული ვითარება აშკარად თრგუნავს და აფერხებს. თითქოს, ბარსელონის სუპერვარსკვლავი მხოლოდ მაშინ გახდები, თუ მუდმივად მოიგებ ტიტულებს და რეალს თითოეულ „ელ კლასიკოზე“ დაამარცხებ.

არადა, 2 წლის განმავლობაში ლუჩომ „ბლაუგრანასთან“ ერთად ყველა შესაძლო ტიტული მოიგო, მაგრამ მაინც „მწვრთნელი-ამოცანის“ სტატუსი შეინარჩუნა. მან კატალონიური კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე 100 გამარჯვება უფრო სწრაფად მოიპოვა, ვიდრე ლეგენდარულმა ხოსეპ გვარდიოლამ, მაგრამ ეს ფაქტი არავის ანაღვლებს: მიიჩნევენ, რომ მთელი სამუშაო მესი-სუარესი-ნეიმარის ტრიომ შეასრულა. ლუისს, რა თქმა უნდა, ამბიციები აქვს, რომელთა რეალობად ქცევა „კამპ ნოუზე“ შეუძლებელია. დასკვნა: წასვლა საჭიროა.

2. ენრიკეს ესმის, რომ საკადრო პოლიტიკაზე არავითარი გავლენა არ აქვს. მაგალითად, ზაფხულში მას ბრავოს გუნდიდან წასვლა არ სურდა, მაგრამ კლუბმა მწვრთნელის სურვილი არ გაითვალისწინა და 33 წლის მეკარე სიტიში გაუშვა. ლუისმა სიმშვიდე შეინარჩუნა, რადგან სეზონის სტარტზე კონფლიქტი სასურველი არ არის.

3. ასტურიელს მოტივაცია თანდათან უქრება. დეკემბერში გამართული „ელ კლასიკოს“ წინ მან განაცხადა, რომ დამარცხება ტრაგედია არ იქნება, რადგან 9-ქულიანი სხვაობა მადრიდის რეალთან ამის „უფლებას“ იძლეოდა.

სიტუაცია დღესაც უცვლელია: როცა ლუჩოს ლა ლიგის ტიტულის მოპოვებასთან დაკავშირებით კითხვებს უსვამენ, ის ჟურნალისტებს გასული წლების სატურნირო ცხრილზე დაკვირვებისკენ მოუწოდებს და მიმდინარე გათამაშებაზე არ საუბრობს.

4. ლუისმა ბარსელონაში დაახლოებით 30 მილიონი ევრო გამოიმუშავა. ეს თანხა 1-წლიანი დასვენებისთვის საკმარისია (როგორც ეს გვარდიოლამ გააკეთა). ენრიკეს არც იმაზე მოუწევს ნერვიულობა, რომ ახალ ხელშეკრულებას ვერ მიიღებს, რადგან ფული სიცოცხლის ბოლომდე ეყოფა.

5. ლუისმა შემცვლელი იპოვა – ხუან კარლოს უნსუე, მისი ასისტენტი. მართალია, ბარსელონა ვალვერდესა და კუმანის ვარიანტებს განიხილავს, მაგრამ, სავსებით შესაძლებელია, რომ ხელმძღვანელობამ ასტურიელის მოსაზრება გაითვალისწინოს, როგორც ეს გვარდიოლას შემთხვევაში მოხდა.

21-ე საუკუნეში ძალიან დიდ წარმატებას ბარსელონის სამმა მწვრთნელმა მიაღწია. რაიკაარდი ყველაზე დიდი ხანი მოღვაწეობდა, გვარდიოლამ საუკეთესო შედეგი აჩვენა, ენრიკემ კი – თავდადება.

წასვლის შემდეგ ლუჩოს დიდებულ ეპოქაზე არავინ ისაუბრებს, მაგრამ ესპანელს ვერ დაამცირებენ. ფაქტობრივად, ენრიკემ თავი შესწირა კლუბს, რომელმაც რომაში განცდილი კრახის შემდეგ მასზე იმედები დაამყარა და ენდო.

კატალონიელებს ბარსელონური წარსულის მქონე, ჭკვიანი პიროვნება სჭირდებოდათ. მათ აღმოაჩინეს ლუის ენრიკე, რომელმაც დავალებას თავი გაართვა.

ენრიკეს ხილვა სხვა გუნდში საინტერესო იქნება, რადგან მრავალი ტიტულის მოპოვების შემდეგ ლუჩო საბოლოოდ შეძლებს, იყოს ის, ვინც რეალურად არის. ასტურიელი ვალდებული აღარ იქნება, მოერგოს გულშემატკივარს, მოთამაშეებსა და ხელმძღვანელობას, თუნდაც პირველ ჩავარდნამდე.

# მილტონ ჰეიგი: „საქართველოში ბუნებრივად ყველა შემტევი მორაგბეა“



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალ სეზონს გადახალისებული იწყებს. ჩვენებს 2019 წელს მსოფლიო თასზე თამაში გარანტირებული აქვთ, ამიტომაც ახალი მორაგბეების ძიებაში არიან. 8 მათგანს ნაკრებში არ უთამაშია და დებიუტს ბელგიის ნაკრებთან ელის.

სხვათა შორის, ბელგიის ნაკრებმა გასულ სეზონის პირველივე მატჩში შეგვიქმნა პრობლემები და რთულად მოვიგეთ. ვნახოთ, რა იქნება ახლა, მანამდე კი დებიუტანტებზე ბორჯღალოსნების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი საუბრობს:

– სეზონი იწყება და ადვილი არ იქნება მიღწეული წინსვლისთვის ფეხის აწყობა. შედეგით 2015 საკმაოდ წარმატებული სეზონი იყო, მაგრამ მაღალი დონის შედეგებით 2016 წელს გამოვყოფდი. 2017 წელს ჩვენი ერთ-ერთი ამოცანა ახალგაზრდა მორაგბეთა შერჩევა და საქმეში ნახვაა, რათა 2019 წელს, იაპონიის მსოფლიოს თასისთვის ბევრად მეტი კონკურენტუნარიანი მორაგბე გვყავდეს თითოეულ პოზიციაზე. რაგბი ევროპის ჩემპიონატი იდეალურ პლატფორმაა საამისოდ. საწყის 2 მატჩში ახალგაზრდებს მივცემთ შესაძლებლობას, რათა დაგვანახონ რა შეუძლიათ. ამ მატჩების შემდეგ გადაწყდება მათი სამომავლო ბედი. რაც მე ნაკრების მწვრთნელი ვარ, ეს ტურნირი ზედიზედ 5-ჯერ მოვიგეთ. არ მინდა, რომ 2017 წელი გამონაკლისი იყოს და საამისოდ ყველაფერს ვიღონებ. მინდორზე გავდივართ იმისთვის, რომ კვირაში თითო ტესტ-მატჩი მოვიგოთ!

თუმცა, რაგბი ევროპის ჩემპიონატის მოგებასთან ერთად ვგეგმავთ პოზიციებზე მარაგის შექმნას.

რა თქმა უნდა, ამ ბიჭებს ეროვნულ ნაკრებში არ გამოვიძახებდით, მათ შესაძლებლობებში დარწმუნებულები რომ არ ვყოფილიყავით. ზოგიერთმა შარშან მანჩესტერში, 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზა. მე ყურადღებით ვაკვირდებოდი მათ თამაშს.

სოსო ბეკოშვილი შესანიშნავად ირჯება ბრივში. შარშან, ნოემბრის ტესტებამდე, ლეგიონერთა მოსანახულებლად საფრანგეთს რომ ვეწვიეთ, ბრივის პირველ ხაზში ქართული გვარი შევნიშნე. ვიკითხე, თუ ვინ იყო, მაგრამ ბევრი ინფორმაცია ვერ მივიღე. ვუყურე მის თამაშს და ძალიანაც კარგად გაართვა თავი საქმეს. ვისაუბრეთ და შთაბეჭდილებაც კარგი დატოვა. ის ტექნიკური და დინამიკური ბურჯია: შერკინებაში კარგად დგას და ამავდროულად, კარგი მბოჭავიცაა.

გიორგი მჭედლიშვილი ბოლო 2 წელია, ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს და წელს მიეცემა კვართის მორგების შესაძლებლობა.

გიორგი ჭყოიძეც ბრწყინვალედ ირჯება თავის კლუბში, რომელიც საქართველოს ჩემპიონი ზედიზედ 4-ჯერ გახდა. ამაში ჭყოიძის დამსახურებაც დიდია. მან მესამე ხაზიდან კვაჭის პოზიციაზე გადაინაცვლა. გიორგი მზარდია და ბოლო 6 თვე ბევრი იშრომა...

ბადრი ლიპარტელიანმა 20-წლამდელთა სისტემა გაიარა და ალაფაზეც გამოიჩინა თავი. შარშანაც ვფიქრობდით მის გამოძახებას, მაგრამ ტრავმა ჰქონდა. კარგი მბოჭავია, დაცვაში საუცხოოდ თამაშობს.

თორნიკე მატარაძემ და ლაშა ტაბიძემ შარშან, 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზეს. ვუყურე მათ თამაშებს, ბიჭებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. მატარაძეს უკვე მოუწია ლიონის პირველ გუნდში თამაში, ხოლო ტაბიძე ჯერაც ბორდოს ესპუარებში ირიცხება. ორივე გასაოცარი მორკინალია, რაც შარშან დაამტკიცეს.

გიორგი ცუცქირიძის გამოძახების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საოცრად ბევრს შრომობს და ფენომენალური მბოჭავია. 20-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვესაუბრე და მანაც, რა თქმა უნდა, ხაზი გაუსვა ცუცქირიძის უნარებს. მისი გამოძახება იმიტომ გვინდოდა, რომ უშუალოდ ნაკრების გარემოცვაში დავკვირვებოდით. შარშან საფრანგეთში შევხვდი, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა – ცუცქირიძე არის ინტელექტუალური მორაგბე და ზოგადადაც, ძალიან კარგი ახალგაზრდაა.

2 წლის წინ ხომ აღმოვაჩინეთ ვასილ ლობჟანიძე? მის მსგავსად გელა აფრასიძეც კარგი 9 ნომერია. ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა, არა მხოლოდ შარშანდელ 20-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე, არამედ საკლუბო რაგბიშიც – კარგი ტექნიკის მქონე შემტევი მორაგბეა.

მეტსაც ვიტყოდი, საქართველოში ბუნებრივად ყველა შემტევი მორაგბეა...

# ზაზა ფაჩულია: „ოკლენდიდან არ მივდივარ“



საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტან ზაზა ფაჩულიას ტრავმა აწუხებს. თუმცა, არაკომპეტენტური გამოცემები იმასაც წერენ, რომ ჩვენებურმა გოლდენ სტეიტში იმედები ვერ გაამართლა. არადა, ასე ნამდვილად არ არის და ზაზაც იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონშიც გოლდენ სტეიტ უორიორსში ითამაშებს.

**ზაზა ფაჩულია:**

– არ მინდა, რომ ეს სეზონი დასრულდეს. როდესაც ხალხი მეკითხება, რას ვგეგმავ ზაფხულში, როცა თავისუფალი აგენტი გავხდები, ვპასუხობ, რომ არსადაც არ მივდივარ და აქ ვრჩები.

ზაზას არყოფნაში „მეომრები“ „იშტაზე“ ვერ არიან და ვარაუდობენ, რომ ჩვენებურის დაბრუნება უორიორსს მეტ თავდაჯერებულობას შემატებს.

ბოლო 14 მატჩიდან ნახევარში ზაზა მინიმუმ ათ ქულას აგდებდა, შეტევაში მოხსნებში კი საერთოდაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვს: საშუალოდ 2.1 და ჯამში – 94. ნბა-ს იმ ცენტრებს შორის, რომლებსაც მიმდინარე სეზონში მინიმუმ 35 მატჩი აქვთ ჩატარებული, ფაჩულიას საუკეთესო პლუს-მინუს მაჩვენებელი გააჩნია +7.2.

ქართველი ლეგიონერის პროცენტული მაჩვენებელი (77.3) საჯარიმოს ხაზიდან საგრძნობლად აღემატება მისი ამპლუის მოთამაშეების საშუალო შედეგს, ხოლო 36 წუთზე გადაანგარიშებისას ზაზას საშუალო მონაგარი 11.5 მოხსნას, 3.8 პასსა და 1.8 ჩაჭრას უტოლდება.

# 33-ე ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას 3 კანდიდატი შემორჩა

2017 წლის 13 სექტემბერს ცნობილი გახდება 2024 წლის ზაფხულის 33-ე ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის ვინაობა. სამწლიანი დაძაბული ბრძოლის გამარჯვებულს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) 130-ე სესია პერუს დედაქალაქ ლიმაში დაასახელებს.

ამ ბრძოლას სამი კანდიდატი შემორჩა: პარიზი, ლოს-ანჯელესი და ბუდაპეშტი.

საგანაცხადო პროცედურების მესამე, დამამთავრებელი ეტაპის შესაბამისად, ამ ქალაქებმა 3 თებერვალს სოკ-ში წარადგინეს საბოლოო საგარანტიო წერილები და სხვა აუცილებელი დოკუმენტები.

ფრენკ ფრედერიქსი, სოკ-ის შეფასების კომისიის თავმჯდომარე:

– კანდიდატი ქალაქებისთვის და ასევე სოკ-ისთვის ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი. ახლა ჩვენ შეგვიძლია, თითოეული პროექტი განვიხილოთ სრული მოცულობით.

ფრედერიქსი და მისი კომისიის წევრები აპრილ-მაისში მოინახულებენ სამივე კანდიდატ ქალაქს: 23-25 აპრილს ლოს-ანჯელესს, 10-12 მაისს – ბუდაპეშტს, 14-16 მაისს – პარიზს. უკვე 11-12 ივლისს კი დასკვნით ანგარიშს წარუდგენენ სოკ-ის წევრებს და ზაფხულის ოლიმპიურ სახეობათა საერთაშორისო ფედერაციებს.

პარიზმა და ლოს-ანჯელესმა აქამდე ორ-ორჯერ უმასპინძლეს ოლიმპიურ თამაშებს (პარიზმა 1900 და 1924 წლებში, ლოს-ანჯელესმა – 1932 და 1984 წლებში), ბუდაპეშტმა კი, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით ამის გაკეთება ვერ შეძლო.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## შედეგები

**6 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

გრანადა-ლას პალმასი .................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 19 | 14 | 4 | 1 | 51-17 | 46 |
| 2.ბარსელონა | 21 | 13 | 6 | 2 | 55-18 | 45 |
| 3.სევილია | 21 | 13 | 4 | 4 | 43-28 | 43 |
| 4.ატლეტიკო | 21 | 11 | 6 | 4 | 36-16 | 39 |
| 5.სოსიედადი | 21 | 12 | 2 | 7 | 34-30 | 38 |
| 6.ვილიარეალი | 21 | 9 | 8 | 4 | 28-14 | 35 |
| 7.ეიბარი | 21 | 9 | 5 | 7 | 32-29 | 32 |
| 8.ესპანიოლი | 21 | 8 | 8 | 5 | 29-27 | 32 |
| 9.ბილბაო | 21 | 9 | 5 | 7 | 26-25 | 32 |
| 10.სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 31-33 | 30 |
| 11.ლას პალმასი | 21 | 7 | 7 | 7 | 31-32 | 28 |
| 12.ალავესი | 21 | 6 | 9 | 6 | 21-22 | 27 |
| 13.ბეტისი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-31 | 23 |
| 14.მალაგა | 21 | 5 | 7 | 9 | 28-35 | 22 |
| 15.დეპორტივო | 20 | 4 | 7 | 9 | 25-32 | 19 |
| 16.ვალენსია | 20 | 5 | 4 | 11 | 29-40 | 19 |
| 17.ლეგანესი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-35 | 18 |
| 18.ხიხონი | 21 | 3 | 4 | 14 | 22-43 | 13 |
| 19.გრანადა | 21 | 2 | 7 | 12 | 17-44 | 13 |
| 20.ოსასუნა | 21 | 1 | 7 | 13 | 23-46 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

შტუტგარტი-ფორტუნა .................. 2:0

**იტალია. სერია ბ**

ტრაპანი-აველინო .......................... 0:0

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

რედ სტარი-აიაჩო .......................... 2:0

ვალანსიენი-ლე ავრი ..................... 0:0

**პორტუგალია. პრიმეირა დივიზიონი**

მარიტიმუ-მორეირენშე .................. 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-პლატანიასი ............ 1:2

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია

ეკა ირემაშვილი

რა არის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია – ეს არის ინოვაცია ძუძუს კიბოს სკრინინგში.

მსოფლიოში ქალთა პოპულაციაში, ონკოლოგიურ დაავადებებს შორის, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეს პირველი ადგილი უჭირავს და სამწუხაროდ, საქართველოშიც ძალიან გავრცელებულია.

ამ დაავადებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადრეული ან გვიანი მენსტრუალური ციკლი, ადრეული ან გვიანი მშობიარობა, მნიშვნელოვანია გენეტიკური ფაქტორი და ა.შ.

მედიკოსების ინფორმაციით, დაავადების პრევენციისთვის აუცილებელია სკრინინგი და მისი ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდია სარძევე ჯირკვლის ულტრაბგერითი ელასტროგრაფიული გამოკვლევა. ელასტოგრაფია სარძევე ჯირკვლის სიმკვრივის განსაზღვრაა, რომელიც ადგენს ფიბროზული მასტოპათიის გავრცელების ხარისხს და ამის ფონზე წარმოქმნილი კვანძების სიმკვრივეს. მიღებული მონაცემებით ხდება სიმსივნური პროცესების პრევენცია. სარძევე ჯირკვლების ელასტოგრაფია უვნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ნებისმიერი სიხშირით არის შესაძლებელი.

რა იწვევს სარძევე ჯირკვლის კიბოს, რა არის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია და რამდენად უსაფრთხოა, ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ექიმი რადიოლოგი ეკა ტყეშელაშვილი საუბრობს.

**ეკა ტყეშელაშვილი:**

– სარძევე ჯირკვლის სიმსივნური დაავადების გამომწვევი ზუსტი მიზეზი უცნობია, მაგრამ ხელშემწყობი ფაქტორებია მემკვიდრეობა, ემოციური ფონი – ნერვული სტრესი, გადაღლილობა, არასწორი ცხოვრების რიტმი, არასწორი კვების რეჟიმი.

***– გაახალგაზრდავების ტენდენცია შეინიშნება?***

– დიახ, შეინიშნება. ადრე გვხვდებოდა 40 წელს ზემოთ, ახლა უფრო გაახალგაზრდავდა და ასაკი 30-დან 40 წლამდე მერყეობს.



***– სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია ძუძუს კიბოს სკრინინგში ნამდვილი ინოვაციაა. იქნებ მკითხველს განუმარტოთ, რას ნიშნავს სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია?***

– სკრინინგის ერთ-ერთი ინოვაციური მეთოდია სარძევე ჯირკვლის ულტრაბგერითი ელასტოგრაფიული გამოკვლევა, რომლის წყალობითაც დგინდება ფიბროზული მასტოპათიის სიმძიმე. ელასტოგრაფიული გამოკვლევით ვადგენთ ამ დაავადების ფონზე წარმოქმნილი წარმონაქმნების სიმკვრივეს და რამდენად საშიშია ეს წარმონაქმნი. თუ მკვეთრად გამკვრივებულია, მიგვანიშნებს ძუძუს კიბოს წარმონაქმნზე, ხოლო თუ შედარებით რბილია, ადენომის ტიპის წარმონაქმნია. ძუძუს კიბოს პრევენციაში ელასტოგრაფია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა.

***– რამდენად უსაფრთხო, უმტკივნეულოა ეს პროცედურა?***

– პროცედურა უსაფრთხოა და წარმოადგენს ულტრაბგერას, რომელიც აღწევს კანქვეშა ქსოვილში. ის არ არის რენტგენოლოგიური გამოკვლევა და შეგიძლიათ ეს პროცედურა იმდენჯერ ჩაიტაროთ, რამდენჯერაც გნებავთ. აუცილებელია, რომ ულტრაბგერითი ელასტოგრაფია წელიწადში ორჯერ ყველა ჯანმრთელმა ქალმა ჩაიტაროს. ჩვენს ცენტრში ეს გამოკვლევა კეთდება უახლესი ულტრაბგერითი აპარატით, რომელიც აღჭურვილია ვიზუალიზების თანამედროვე სისტემით, მაღალი სიზუსტისა და მგრძნობელობის პროგრამებით. მაღალი სიზუსტით ხდება მკურნალობის შედეგების მონიტორირება, რაც პაციენტთათვის უსაფრთხოების მაქსიმალური გარანტიაა.

***– ექოსკოპიურ დასკვნებში ხშირად არის დიაგნოზი – ფიბროზული მასტოპათია. რას ნიშნავს ეს დიაგნოზი?***

– ფიბროზული მასტოპათია სარძევე ჯირკვლის მიდამოში მკვრივი ქსოვილების ჭარბად ჩანაცვლებაა. ჰორმონული დისბალანსის ფონზე ვითარდება და უმთავრესად რეპროდუქციული ასაკის ქალებს აღენიშნებათ. ტკივილის შეგრძნება მენსტრუაციამდე რამდენიმე დღით ადრე ჩნდება. მისთვის დამახასიათებელია კვანძოვანი წარმონაქმნების გაჩენა, რომლებიც დროთა განმავლობაში შეიძლება ჩამოყალიბდეს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებად. გამკვრივებები და კვანძები სხვადასხვა კონსისტენციისაა და შეხებისას მტკივნეულია. შორსწასული ფორმებისა და კვანძოვანი მასტოპათიის შემთხვევაში ტკივილი ბეჭსა და იღლიაში გადაეცემა. მკერდის ოდნავ შეხებაც კი ტკივილს იწვევს.

სამწუხაროდ, ფიბროზული მასტოპათია გვხვდება ნაადრევ ასაკში. ადრე იყო 30 წელს ზემოთ და ახლა 16 წლის ასაკიდან ფიქსირდება. აუცილებელია ყველა ჯანმრთელმა ქალბატონმა გაიაროს სკრინინგი ანუ ულტრაბგერითი გამოკვლევა 16-დან 35 წლამდე და 35 წლიდან 70 წლამდე ამ გამოკვლევას დამატებული რენტგენომამოგრაფია. ფიბროზულ მასტოპათიას სჭირდება მუდმივი კონტროლი. აუცილებელია ულტრაბგერითი გამოკვლევა ყველა ჯანმრთელმა ქალბატონმა ჩაიტაროს 6 თვეში ერთხელ. თუ სარძევე ჯირკვალში არის წარმონაქმნი, ამ გამოკვლევით მისი დიაგნოსტირება მოხდება და დროული მკურნალობის წყალობით თავიდან ავიცილებთ ძუძუს კიბოს.

***– როგორია პრევენცია, რომ მდგომარეობა არ გართულდეს?***

– ჩემი რჩევაა, 3 თვეში ან 6 თვეში ერთხელ ჩაიტაროთ ულტრაბგერითი კვლევა, რომელიც სრულიად უსაფრთხო და უმტკივნეულოა. ეს პროცედურა მხოლოდ 10-15 წუთი გრძელდება. აუცილებელია ყველა ჯანმრთელმა ქალბატონმა თვეში ერთხელ ჩაიტაროს სარძევე ჯირკვლების თვითგასინჯვა. თუ წარმონაქმნს შენიშნავთ, აუცილებლად მიმართეთ მამოლოგს.

## ჩვენი იბოია 80 წლის გაგვიხდა!



**ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულ სტაჟიან გულშემატკივარს, ყოფილი ფეხბურთის ფედერაციის ინსპექტორს, ნაღდ თბილისელს, კაცურ კაცს, ეროვნული სულის მატარებელს, ფეხბურთის შესახებ დაწერილი ორი წიგნის ავტორს, ჩვენს საყვარელ იბოიას ვულოცავთ 80 წლის იუბილეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას თავის დიდ ოჯახთან ერთად.**

***საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია***
***1981 წლის მაისის ევროპის თასის გამარჯვებული ფეხბურთელები და ძველი ვეტერანები***
***1964 წლის ჩემპიონები – ვლადიმერ ბარქაია,***
***ილია დათუნაშვილი, გიორგი სიჭინავა, მურთაზ ხურცილავა***

სპორტი

# ძიუდოისტთა 2 მედალი პორტუგალიიდან

პორტუგალიის ქალაქ ოდიველასში გამართულ ევროპის ღია პირველობაზე ძიუდოში საქართველოს ნაკრების წევრებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლეს.

საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზე შესუსტებული შემადგენლობით იყო, უფრო სწორად, ტურნირში მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორმა ძიუდოისტებმა მიიღეს.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი ნოდარ ბერიანმა აიღო, რომელმაც მე-3 ადგილისათვის შეხვედრაში თანაგუნდელ უშანგი მარგიანს სძლია.

21 წლის ბოლნისელი ფალავანი პირველად გახდა საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი. ბერიანმა პირველ წრეში პორტუგალიელ ნოელ დელგადო იპონით დაამარცხა, მერვედფინალში კი, საკმაოდ ძლიერი ფრანგი ლუდოვიკ გობერი 2 ვაზარით დაამარცხა. შემდეგ არანაკლებ ხმაურიანი მოგება მიითვალა ესპანელთა ქართველ ნიკოლოზ შერაზადაშვილთან, ვინც ახალგაზრდებში მსოფლიოს ორგზის და ევროპის ფინალისტია. ნახევარფინალში კი ასევე ფრანგ აქსელ კლერჯესთან წააგო.




მძიმე წონით კატეგორიაში კი ონისე ბუღაძე ფინალში გავიდა, სადაც რუს ანტონ ბრაჩევთან დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბუღაძე პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი არგენტინელი ჰექტორ კამპოსი ჩამოიშორა. ჩვენებურმა მეოთხედფინალში ფრანგი ნაბილ ზალაგი დააიპონა, ნახევარფინალში კი მისი თანამემამულე მეთიუ ტორელი ვაზარით გაიარა.

თებერვალში ქართველი ძიუდოისტები პარიზის გრან სლემსა (11-12 თებერვალი) და დიუსელდორფის გრან პრიზე (24-26 თებერვალი) გამოვლენ, სადაც მედლებისათვის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის წევრები იბრძოლებენ.

# მოკრივეები ბუდაპეშტში იჩხუბებენ

საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები უნგრეთის ქალაქ დებრეცენში გაემგზავრა, სადაც ა კლასის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს. ტურნირი დღეს დაიწყება და 11 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

აღსანიშნავია, რომ უნგრეთში მთავარი მწვრთნელის რანგში, შალვა დუნდუას დებიუტი შედგება. გასული წლის ბოლოს არჩეულ ახალგაზრდა სპეციალისტს გამოცდილი ბეჟან ჭიჭინაძეც დაეხმარება, რომელიც ამავდროულად ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელიც გახლავთ.

**დებრეცენში, საქართველოს ნაკრები, მონაწილეებს 8 წონით კატეგორიაში გამოიყვანს:**

ნოდარ დარბაიძე (49კგ), ონისე სოსელია (52), არტიუშ გომციანი (56), გიორგი გოგატიშვილი (60), დათო გორგილაძე (64), ესკერხან მადიევი (69), რატი ტლაშაძე (81), გიორგი ჭილაძე (მძიმე).




მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ასტროპროგნოზი
## 8 თებერვლისთვის



**ვერძი** – კრიტიკული დღეა. ნუ გადაიღლებით. ერიდეთ კონფლიქტს ოჯახის წევრებთან. **კურო** – ფინანსური ოპერაციები თქვენთვის არასასურველი კუთხით წარიმართება, თუმცა არ დაზარალდებით. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მოსალოდნელია ტრავმები და ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **კირჩხიბი** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიუხედავად იმისა, რომ არ გემჩნევათ, შინაგანად დაძაბული ხართ. მიენდეთ ინტუიციას. **ლომი** – კომერსანტებს ბედი გწყალობთ. მთავარია, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდეთ. **ქალწული** – სინდისის ხმას ყური უგდეთ. ნუ მიიღებთ ისეთ გადაწყვეტილებას, რის გამოც შემდეგ საკუთარი თავის შეგრცხვებათ. **სასწორი** – თუ საქმეში სხვა ადამიანებსაც ჩართავთ, წარმატებას მიაღწევთ. ვარსკვლავები გმფარველობენ. **მორიელი** – პროვოკაციული დღეა. ცდუნებას ნუ აჰყვებით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. **მშვილდოსანი** – გეგმები გეცვლებათ, რაც შესაძლოა შემთხვევითობამ განაპირობოს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თხის რქა** – გელით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატება. რეალობა ადეკვატურად შეაფასეთ. **მერწყული** – შთაგონება გეწვევათ, რაც წარმატების საწინდარია. შესაფერისი დღეა კოლექტიური საქმიანობისათვის. **თევზები** – საყოფაცხოვრებო პირობების შესაცვლელად კარგი პერიოდია. ხელსაყრელ წინადადებაზე უარს ნუ იტყვით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ხერესის მარკის ღვინის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. ცალკეული სცენებისა და ნომრებისგან შედგენილი საესტრადო-თეატრალური წარმოდგენა; 3. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 4. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 5. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. ზნეობა ანუ...; 15. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 16. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**თარაზულად:** 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 7. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. დადგენილი წილი, ნორმა; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. ზღვისპირა კურორტი გაგრის რაიონში; 18. განდიდების მანია; 19. უკრაინული ფარმაცევტული კომპანია; 20. ეგრისის მთავარი VI საუკუნეში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დულცინეა; 2. ყალბი; 3. კვარიათი; 4. ხანუკა; 7. ოტიტი; 9. პროზა; 12. „კრაკოვიაკი"; 14. მიზერი; 15. გრუბერი; 17. კონფუცი; 20. აბული.

**თარაზულად:** 5. „მუკუზანი"; 6. ტავერნა; 8. ლიბრეტო; 10. ნატამალი; 11. ჰედერი; 13. სეინერი; 16. ჯანელიძე; 18. ჰობოი; 19. პუარო; 21. „იბერია"; 22. „არსენალი"; 23. ქურციკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სუმო; 2. ხიხვი; 3. ეზოპე; 4. მედეა; 5. ჰიმენე; 6. ჯარგვალი; 8. ენტომოლოგი; 10. „გუგენჰაიმი"; 11. ბობოყვათი; 14. როზეტი; 15. გუთანი; 16. მაგმა.

**თარაზულად:** 1. საჩხერე; 4. მაჰარაჯა; 7. სესხი; 9. ბელგა; 12. ლეჟავა; 13. სტუკო; 14. რაბათი; 17. ალკოვი; 18. კრიპტოგრამა; 19. ზინდანი; 20. ნაგაზი.

# ქართული თეატრის რეიტინგები გამოქვეყნდება

8 თებერვალს ილიაუნის თეატრის ფოიეში გაიმართება თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ ტრადიციად დამკვიდრებული ქართული თეატრის განვლილი ერთი წლის შემაჯამებელი კვლევის და თეატრის კრიტიკოსების მიერ გამოვლენილი რეიტინგების პრეზენტაცია.




პრეზენტაციაზე „ქართული თეატრი 2016 წელს", რომელიც უკვე მეექვსედ ხორციელდება, გამოვლინდება წარმატებული თეატრები სხვადასხვა აქტივობების მიხედვით. დასახელდება ყველაზე აქტიური, პრემიერების, გასტროლების, მაყურებლის, ბილეთების გაყიდვის და წარმოდგენების რაოდენობით გამორჩეული თეატრები. ასევე რეიტინგული სპექტაკლები, პროდუქტიული რეჟისორები, მსახიობები, სცენოგრაფები და ქორეოგრაფები.

თეატრების კვლევა სულ 30-მდე კატეგორიაში განხორციელდა. კვლევაში საქართველოში მოქმედი 44 თეატრიდან 42-მა თეატრმა მიიღო მონაწილეობა, როგორც დედაქალაქიდან, ასევე რეგიონებიდან. მათ შორის, კერძო და დამოუკიდებელმა თეატრებმაც.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია პროფესიული ხუთეულების შედგენა და რეიტინგების გამოვლენა სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით, რომელშიც თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციასთან თანამშრომლობით 20-ზე მეტი მოქმედი კრიტიკოსი მონაწილეობდა.

საუკეთესო ხუთეულში შესულ თეატრის მოღვაწეებს თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციისა და თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის საპატიო დიპლომები გადაეცემათ.

# ფოთის თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია.

შენობაში, რომელიც 2014 წელს აშენდა და დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა, გაუსაძლისი მდგომარეობაა. შენობა ავარიულია და რეაბილიტაციას საჭიროებს. ახლად გახსნილ თეატრში ლიფტი ჩაწყდა და თანამშრომელი მძიმედ დაშავდა. მის დასახმარებლად თეატრში არაერთი საქველმოქმედო სპექტაკლი გაიმართა.

ფოთის თეატრის თანამშრომლების განცხადებით, სპექტაკლების დროს საფრთხე ექმნებათ არა მარტო მსახიობებს, არამედ დარბაზში მყოფ მაყურებლებსაც.

თეატრის ხელმძღვანელობა საქმეში სამართალდამცველების ჩართვას და გამოძიების დაწყებას ითხოვს. დაინტერესდებიან თუ არა სამართალდამცავი უწყებები მშენებლობის დროს ჩატარებული სამუშაოებით, ჯერჯერობით უცნობია.



# ია ფარულავა მასტერკლასებს ატარებს



მას შემდეგ, რაც მსახიობი ია ფარულავა „ნიჭიერის" ჟიურის მიღმა დარჩა, მასტერკლასების ჩატარება დაიწყო.

თეატრის კრიტიკოსთა კავშირის ხელმძღვანელის, თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძის მიწვევით, მსახიობი ილიაუნის ესტუმრა და სტუდენტებისთვის მასტერკლასი ჩაატარა.

ია ფარულავას მასტერკლასი – მიხაილ ჩეხოვის სამსახიობო ტექნიკის საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნიკა წულუკიძის ჯგუფში იქნა წარმოდგენილი.

ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, რომ ია ფარულავა ამ მეთოდის გამგრძელებელია. მან ეს ტექნიკა ჰოლივუდში შეისწავლა მიხაილ ჩეხოვის მეგობრისა და თანამოაზრის, ასევე ჰოლივუდის წრეებისთვის კარგად ცნობილი პედაგოგის და რეჟისორის გიორგი ჟდანოვისგან. თუმცა არა მარტო შეისწავლა, არამედ მოდიფიცირება გაუკეთა ამ მეთოდს გიორგი ჟდანოვთან ერთად და ის ბევრად პრაქტიკული გახადა.

გახდება თუ არა ია ფარულავას მასტერლასები სისტემატური, ამ ეტაპზე უცნობია.

# გელა დაიაური: „სადამდე უნდა იჯიჯგნოს ჩემი სამშობლო?"

– მაინტერესებს, სადამდე უნდა იჯიჯგნოს ჩემი სამშობლო ხან ერთი, ხან მეორე და ხან მერამდენე მეზობლისგან? – კითხულობს პოეტი გელა დაიაური და ხელისუფლებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პასუხების გაცემას სთხოვს.



**გელა დაიაური:**

– ქართველო პატრიოტებო, ვინმემ იცით დეტალები ბათუმში სკოლების თემასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებზე? საუბარია შაჰინის სახელობის საჯარო სკოლაზე და თურქეთის ახლანდელი ხელისუფლების მიერ გახსნილ ახალ თურქულენოვან სკოლასთან დაკავშირებით.

იქნება ღიად თქვან ხელისუფალთ, რა იმალება და რას უკავშირდება ეს პრობლემა... თურქეთი ქვეყანაში სკოლას რომ გიხსნის ისე, რომ არ გეკითხება სახელმწიფოს არაფერს და რბილად რომ ვთქვათ, ფეხებზე იკიდებს შენს კანონმდებლობას, რატომ ხართ ჩუმად?

ჟურნალისტთა კორპუსმა იქნებ უფრო ღრმად შეისწავლოს ეს თემა და კარგად და ღიად გაშუქდეს... მაინტერესებს, სადამდე უნდა იჯიჯგნოს ჩემი სამშობლო ხან ერთი, ხან მეორე და ხან მერამდენე მეზობლისგან?

# „თქვენ ხომ არ გაჟრიალებთ?"

კითხულობს პროდიუსერი თამაზ ორაშვილი და გაზაფხულზე საქართველოში აეროსმიტის კონცერტის ჩატარებას ეხმაურება. ბლექ სი არენას დირექტორმა განაცხადა, რომ ბილეთების გაყიდვა თებერვლიდან დაიწყება და მათი ფასი 70-დან 400 ლარამდე იქნება.

**თამაზ ორაშვილი:**

– რა ფასთა გრდაციებია? თუ არ იცით მართვა, დაეკითხეთ სხვებს.... თუ აჩეკინებთ ეს ვიპ ზონები და ამხელა ფასები რა უბედურებააა... რას ნიშნავს ფანზონაში 3500 ადგილია და მარტო 100 ბილეთი გაიყიდება...

თქვენ ხომ არ გაჟრიალებთ?... თუ საქართველოს მოქალაქეებზე არ თვლით, მაშინ ჩვენი ჯიბიდან რატომ გიხდიან 5 500 000 მილიონს...

სასწრაფოდ ფასები დააგდეთ თქვე ფარჩაკებოო.... ერთი წელია მაგ კონცერტს ველოდებით.....

**პ.ს.** ბატონო დეპუტატებო, გთხოვთ კარგად გაარკვიოთ ეს საკითხი და საქართველოს მოქალაქეებს პატივი სცეს ბლექ სი არენას დირექციამ...



არ გვაქვს მაგხელა შემოსავლები, რომ თავისი გზიან კვებიანად ჩვენი ფულით ჩვენვე ვიყიდოთ ბილეთები...

# ინდირა ჯგერნაიას გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა




„იქს ფაქტორის" და „ჯეოსტარის" მონაწილე, მომღერალი ინდირა ჯგერნაია საავადმყოფოში აღმოჩნდა.

მომღერალს ქუთაისში თოვლის მოსვლა ძვირად დაუჯდა – ის ყინულზე გასრიალდა და მარჯვენა ფეხი მოიტეხა.

მომღერალს გადაუდებელი ოპერაცია დასჭირდა. ამჟამად ინდირას წოლითი რეჟიმი აქვს და ექიმები ფეხზე წამოდგომას უახლოეს დღეებში არ უწინასწარმეტყველებენ. მომღერალს გადასაადგილებლად პირველ ეტაპზე ყავარჯნები დასჭირდება.

როდის შეძლებს დამოუკიდებლად გავლას მომღერალი და დაუბრუნდება თუ არა სცენას უახლოეს პერიოდში, ამ ეტაპზე უცნობია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# დღის კალენდარი

## 8 თებერვალი



**წლის 39-ე დღე,**
**ახალ წლამდე დარჩა 326 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებლისა (112 5); ღირსთა: ქსენოფონტისა, მეუღლისა მისისა მარიამისა და ძეთა მათთა არკადისა და იოანესი (VI); მოწამეთა: ანანია ხუცისა, პეტრე მეჭურჭლისა და მათთანა შვიდთა მხედართა, რომელნი იტანჯნეს ფინიკეს (248-305); ღირსისა სვიმეონ ძველისა, სინელისა (დაახლ. 380-390); აღმოყვანება წმინდათა ნაწილთა ღირსისა თეოდორესი, სტუდიელი იღუმენისა (84 2-846); წმინდათა ორთა მოწამეთა; ღირსისა ამონისა; ღირსისა გაბრიელ იერუსალიმელისა (V); ღირსისა კლიმენტისა, საგმატიოსის მთაზე მოღვაწისა (1111); წმინდისა პავლა ქვრივისა (404).

ხსენება ღირსი ქსენოფონტესი, მისი მეუღლის მარიამისა და მათი ძეების – არკადისა და იოანესი (V-VI), წმიდა მოწამეებისა: ანანია ხუცისა, პეტრე საკნისმცველისა და მისთანა შვიდთა მხედართა (295); ღირსი სვიმეონ ძველისა (390); სტუდიელი იღუმენის, ღირსი თეოდორეს წმიდა ნაწილების აკრიტის ხერსონესიდან კონსტანტინეპოლში გადასვენებისა (845); წმიდა იოსებისა, თესალონიკელი მთავარეპისკოპოსისა (830).

**დაიბადნენ:**

1612 – სემუელ ბატლერი, ინგლისელი მწერალი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1680 წელს.

1828 – ჟიულ ვერნი, ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1905 წელს.

1834 – დიმიტრი მენდელეევი, გამოჩენილი რუსი ქიმიკოსი, რომელმაც აღმოაჩინა პერიოდულობის კანონი. გარდაიცვალა 1907 წელს.

1854 – ივანე მაჩაბელი, მწერალი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1898 წელს.

1888 – ალექსანდრე ჟორჟოლიანი, ქართველი მსახიობი. გარდაიცვალა 1969 წელს.

1903 – სიკო დოლიძე, კინორეჟისორი და კინოდრამატურგი. გარდაიცვალა 1983 წელს.

1906 – ჩესტერ კარლსონი, ქსეროგრაფიის გამომგონებელი.

**გარდაიცვალნენ:**

1587 – მარიამ სტიუარტი, შოტლანდიის დედოფალი.

1709 – ჯუზეპე ტორელი, იტალიელი მევიოლინე, კომპოზიტორი.

1915 – აკაკი წერეთელი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

1957– ვალტერ ბოთე, გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1979 – დენის გაბორი, ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**მოვლენები:**

1587 – ინგლისში შოტლანდიის დედოფალს მარიამ სტიუარტს თავი მოჰკვეთეს.

1600 – ვატიკანმა ჯორდანო ბრუნოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

1885 – დაიბეჭდა ბერნანდ შოუს პირველი ზღაპარი.

1904 – იაპონია თავს დაესხა პორტ-არტურს. დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი.

1918 – გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1926 – იუკატანის ნახევარკუნძულზე აღმოაჩინეს ექვსი პირამიდა.

1928 – ერთა ლიგის წევრმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ოქმს მომწამლავი ნივთიერებების და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

1969 – მსოფლიოში ყველაზე დიდმა კომერციულმა თვითმფრინავმა „ბოინგ 747" პირველი გაფრენა შეასრულა.

*მედიანიუსი*

# პროგრამა

## ოთხშაბათი
## 8 თებერვალი

07.00 დოკ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებნი" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**კედრის ყურე**" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "წიგნების თარო" 14.30 "დღე მუზეუმში" 15.00, 02.00 "x სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 03.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ "**მთავრობა**" 00.00 მხ/ფ "**სოლისტი**"

08.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 09.00 დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.20 მხ/ფ "**სასტიკი არსებები**" (კ.კლაინი) 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "**ბილოქსი ბლუზი**"

06.30, 16.00 სერ. "**ელიფი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**გონული**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 7 სერ 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 მხ/ფ "**ოჯახური პორტრეტი**" 02.40 მხ/ფ "**დიდი იმედები**" 04.45 მხ/ფ "**მთასვლელი**" (ტიტ.)

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45, 20.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 15.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.50, 20.03 სერ. "**ოქროს გალია**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 გააცინე და მოიგე 00.30 სერ. "**დროში დაკარგული**"

08.00 ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" 09.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 11.00 სერ. "**მშობლები**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 18.00 სერ. "**სკანდალი**" 21.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.00 სერ. "**მოტივი**" 23.00 სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" 00.00 მხ/ფ "**ჩემი სიძულვილის 10 მიზეზი**" 01.50 მხ/ფ "**მომნუსხველი წამი**" 03.25 მხ/ფ "**სხვა და**" 05.45 მხ/ფ "**წერილი ბოთლში**"

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 11.20 ბიბლია ბავშვებისათვის 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 13.00 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "ტყავი,ბეწვი,ორნამენტი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დ/ფ "ველური ბუნება-ოკავანგოს დელტა" 16.00 დ/ფ "სათავეებთან" 16.25 წმინდანები "წმინდა დავით აღმაშენებელი" 16.45 ეპოქა და ადამიანები "ნატო ვაჩნაძე" 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დ/ფ "ორი სამშობლო" 20.40 ძილი ნებისა "ეკლესიური ცხოვრება" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ღვთის სახლი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი "უსახლკარო არქივის ფურცლები" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 ღვთის სახლი "გაგრა" 00.25 ისტორიის დღიური 01.00 დ/ფ "გარდამოხსნა" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "მაშა და დათვი" 7.50 "ქვიშის ზღაპარი" 8.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 10.00, 2.00 სერ. "**ორი გული**" 11.00 "სიყვარულის იმპერია" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" 14.30, 15.30 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 სერ. "**მარისა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.45 სერ. "**მორიგე ექიმი**" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**მაინც ჩემი იქნები**" 21.55 სერ. "**პაემანი**" 22.45 სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" 1.30 "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# სამგლოვიარო განცხადებები

ირინა ზერეკიძე და ვაჟა გელბახიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო მეგობრის, შესანიშნავი პიროვნების

**თამაზ ბოკერიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ასოციაცია მესხეთის პრეზიდიუმი მისი ხელმძღვანელის ამირან მექვაბიშვილის სახით იუწყება პრეზიდიუმის წევრის ანზორ კუპატაძის დის, სახელოვანი ქალბატონის

**იზოლდა კუპატაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**8 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6795

ევრო — 2.877

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.344

100 რუსული რუბლი — 4.5546

## ამინდის პროგნოზი 8 თებერვლისთვის




## 7 თებერვლიდან

### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




სტენდალი

**წითელი და შავი**

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## 10 თებერვლიდან

თედორე დოსტოევსკი

**დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი**

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## ჯიბრილ სისემ კარიერა დაასრულა



ლივერპულის ყოფილმა ფორვარდმა ჯიბრილ სისემ ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ.

35 წლის ფრანგმა თავდამსხმელმა თქვა, რომ ფეხბურთთან განშორება მას ძალიან გაუჭირდება, რადგან ეს სპორტი მთელი მისი ცხოვრება იყო, თუმცა ყველაფერს აქვს დასასრული.

სისე ფეხბურთელობის შემდეგ, შესაძლოა, დიჯეი გახდეს და რომელიმე ღამის კლუბში იმუშაოს. მისი თქმით, ეს სამუშაო მას გასართობად სჭირდება და არა ფულისთვის.

ჯიბრილ სისემ 2005 წელს ლივერპულთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო. საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში მის ანგარიშზე 41 შეხვედრა და 9 გატანილი გოლია. სისეს ბოლო გუნდი ფრანგული ბასტია იყო.

## იკარდიმ და პერიშიჩმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს

ინტერის ორმა ფეხბურთელმა მაურო იკარდიმ და ივან პერიშიჩმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღეს. მიზეზი ის არის, რომ იუვენტუსთან წაგებული მატჩის შემდეგ ამ ორმა ფეხბურთელმა შეხვედრის მთავარი არბიტრის წინააღმდეგ ემოციები ზედმეტად აგრესიულად გამოხატა.

ინტერმა იუვესთან 0:1 წააგო და ინტერის ფეხბურთელები მსაჯის ქმედებით მთელი მატჩის განმავლობაში უკმაყოფილონი იყვნენ.

ინტერმა ამ წაგებით 7-მატჩიანი მოგებების სერია შეწყვიტა და იტალიის ჩემპიონატში ამჟამად მე-5 ადგილზეა.



## იუმორი



სომეხს ეკითხებიან:

– რა აჩუქე ახლად დაქორწინებულებს?

– ჩემი მაღაზიის ვაუჩერი, მართალია, შარშანდელი საქონელია, მაგრამ კარგია.

●●●

ორი პროგრამისტი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– საიდან გაქვს ასეთი მაგარი ველოსიპედი.

– გუშინ საღამოს ტბის პირას ვიჯექი. ამ დროს ველოსიპედით მაგარი გოგო მოვიდა, გვერდით მომიჯდა, ყველაფერი გაიხადა და მეუბნება: „შეგიძლია, ყველაფერი მიიღო, რასაც მოისურვებ". ჰოდა, მეც ავდექი და ველოსიპედი ავიღე.

– სწორად მოქცეულხარ, მისი ტანსაცმელი მაინც არ გამოგადგებოდა.

●●●

ჩანაწერი სამედიცინო ბარათში:

„ფსიქიკური დაავადება არ აქვს. უბრალოდ სულელია".

●●●

ერთი მეზობლის ვალი აქვს მეორეს, მაგრამ თქმა ეხათრება და ბოლოს ეუბნება:

– როგორი ყინვებია, არა.

– ჰო, ათი გრადუსი მაინც იქნება.

– არადა, ფული რომ გასესხე, როგორ ცხელოდა, ჰო!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ სპერმა სპერმის ბანკში უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სისხლი სისხლის ბანკში?

– ხელით ნაკეთებია და იმიტომ.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, ახლად დაქორწინებულები რომ ვიყავით, შენთვის პატარა ნაჭრებს იღებდი, მე კი დიდებს მიტოვებდი, და ახლა აღარ გიყვარვარ?

– ძვირფასო, უბრალოდ, ახლა უკეთესად ამზადებ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რას ეტყოდი, ისეთ ქალს თუ შეხვდებოდი, რომელიც შენ მიმართ ალერსიანი, კეთილი, ნაზი იქნებოდა და გემრიელადაც ამზადებდა საჭმელებს?

– გამარჯობა, დედა...

●●●

მოსამართლე ქალს ეკითხება:

– რატომ შორდებით მეუღლეს?

– იმ ბინის პატრონი, რომელიც ორი წელი ნაქირავები გვქონდა და რომლის ფულსაც მე ვიხდიდი, ის ყოფილა.

– მართლა?.. გენიალურია, – წამოიძახა მოსამართლემ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.







## 9 თებერვლიდან

ნიკო ლომოური

**კობრა მეგობრები**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 8 თებერვლიდან

**ქართლის ცხოვრება**

მე-3 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




## ლესტერი კლაუდიო რანიერის ნდობას უცხადებს



პრემიერ ლიგის შარშანდელი გამარჯვებული ლესტერი ამჟამად ძალიან რთულ მდგომარეობაშია. კლაუდიო რანიერის გუნდი მე-16 ადგილზეა და გასავარდნ ზონასთან მხოლოდ ერთი ქულა აშორებს.

ამის გამო გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლესტერი კლაუდიო რანიერის გათავისუფლებას აპირებდა, მაგრამ ლესტერის ხელმძღვანელობამ ეს ინფორმაცია უარყო. რანიერი მინიმუმ სეზონის ბოლომდე ლესტერში დარჩება, მისი მომავალი კი ლესტერის მიერ ნაჩვენებ შედეგზე იქნება დამოკიდებული.

თუ ლესტერი ჩემპიონშიფში გავარდება, რანიერის, სავარაუდოდ, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლებენ. თვითონ რანიერი დარწმუნებულია, რომ ეს არ მოხდება.

## გაბრიელ ჟესუსს რონალდო და პელეც აქებენ



მანჩესტერ სიტის ახალ ფორვარდზე, 19 წლის გაბრიელ ჟესუსზე საუბრები არ წყდება. ჟესუსმა მანჩესტერ სიტიში ჩატარებულ 3 შეხვედრაში 3 გოლი გაიტანა და 2 საგოლე პასი გააკეთა. ამის გამო ინგლისში მისი ქება არ წყდება.

გაბრიელზე თავისი აზრი ბრაზილიელმა ლეგენდებმა რონალდომ და პელემაც დააფიქსირეს.

რონალდო გაბრიელ ჟესუსში საკუთარ თავს ხედავს, ხოლო პელემ განაცხადა, რომ ჟესუსი ამჟამად ბრაზილიელთა საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელია.

თვითონ ჟესუსი ამბობს, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს სასწავლი და ის ყოველდღე ცდილობს, უკეთესი ფეხბურთელი გახდეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. უხასიათობა, ცუდი გუნება-განწყობა; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ნაკეთობებზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ანბანის ასო მათემატიკაში; 12. ერის, ხალხის, ტომის წარმოშობა; 14. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 15. ვოინიჩის რომანი; 17. მეფის მცველი რაზმი ძველად საქართველოში; 20. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საერთაშორისო შეთანხმება.

**თარაზულად**: 5. შაქრის სუროგატი; 6. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 8. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 13. სიბნელეში ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; 16. გარკვეული წესით შედგენილი, ერთგვაროვანი საგნების სია; 18. ველორიქშა ინდოეთში; 19. პირველი გერმანული ოპერა; 21. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 23. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

